ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი
კერძო პირთათვის 15.000 მანეთი.
სახელმწიფო დაწეს. 10.000 მანეთი.

ПРОЛЕТАРЕБО ДВЕЛА ДВЕЛА ДВЕУНИСА, ШЕЕРТДЕТ!

წელიწადი
მეოთხე

ფოსტა

შაბათი,
დეკემბრის 30.
1922 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 45—46 ეროვნულ კვირეული ორგანო. № 45—46

ჟურნალ „ფოსტა"-ს რედაქციისაგან.

ყველა ხელის მომწერთა, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და კერძო ორგანიზაციების საყურადღებოდ რედაქცია აცხადებს, რომ

ჟურნალი უფასოდ არაგის გაეგზავნება.

ყველა ხელის მომწერი ვალდებულია გადაიხადოს მათზე დარჩენილი ხელის მოწერის ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში **მოესპობათ ჟურნალის გზავნა.**

ყოველგვარი განცხადების ფასი: სტრიქონი—10.000 მანეთი.

დოკუმენტების დაპარგვის შესახებ დასაბეჭდი განცხადებების ფასი 30.000 მანეთი.

ჟურნალში მოსათავსებელი განცხადება დაიბეჭდება მხოლოდ ფულის შემოტანის შემდეგ.

რედაქცია ღია დილის 9 ს. 3 საათამდე კვირა-უქმეების გარდა.

რედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ყოფ.—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 8—59.

ოფიციალური განყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრ. აღმასრულ. კომიტ.

დეკრეტი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენ. რალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

სათემო და ს ფ ზრ. აღმასრულებელი კომიტეტების ორგანიზაციის შესახებ.

I. სათემო აღმასრ. კომიტეტის ორგანიზაცია.

1. თემის ფარგალში სათემო აღმასრულებელი კომიტეტი არის ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო.

2. სათემო აღმასრულებელ კომიტეტს, სამი პირისაგან შემდგარს აირჩევს თემის საბჭო ერთი წლის ვადით.

შენიშვნა 1: აღმასრულებელ კომიტეტის სამ წევრთან ერთ თემის საბჭო ერთს აირჩევს სათემო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ, რომელიც იმავე დროს არის თემის საბჭოს თავმჯდომარეც.

შენიშვნა 2: სათემო აღმასრულებელი კომიტეტის არჩევისას თემის საბჭო უნდა იკადოს, რომ აღმასრულებელი კომიტეტის სამი წევრი, შეძლებისამებრ, იყვნენ წარმომადგენელნი ამა თემის სამი რაიონისა.

3. სათემო აღმასრულებელი კომიტეტის წევრნი გაინაწილებენ თავიანთ შორის მთელ სამუშაოს ამა თემის ფარგლებში.

4. სათემო აღმასრულებელი კომიტეტი პასუხისმგებელია თავისი მოქმედებისათვის თემის საბჭოსა და ხელისუფლების მასზე მაღლა მდგომ ორგანოების წინაშე.

5. სათემო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი სავალდებულოა თემის მცხოვრებთათვის.

6. სათემო აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს, კანონის ფარგლებში, დამოუკიდებლივ გადასწყვიტოს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები, ხოლო მისი დადგენილებანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ცენტრის მიერ გამოცემულ კანონებს (დეკრეტს, დადგენილებას და სხვ.).

7. სათემო აღმასრულებელი კომიტეტი მოეწყობა წინად არსებულ რევოლიუციონერი კომიტეტის საზღვრებში. გამონაკლისს შეადგენს ის ქალაქები, დასახლებული სამრეწველო პუნქტები, დაბები და განსაკუთრებულად გამოყოფილი დიდი სოფლები, რომელნიც ჩამოთვლილია დებულებაში სათემო, სამაზრო და სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის არჩევის შესახებ (ნ. წ. 5.5—27); ამ ფანასკნელებში აღმასრულებელი კომიტეტი მოეწყობა ამავე დებულების 28 მუხლის თანახმად.

8. სათემო აღმასრულებელ კომიტეტის წევრს არ შეეძლიან გამოვიდეს კომიტეტიდან შემდეგ არჩევნებამდე აღმასრულებელ კომიტეტის თანხმობის გარეშე.

9. აღმასრულებელ კომიტეტის ვალდებულებას შეადგენს:

ა) ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა მისი ხელქვეითი ორგანოებისათვის.

ბ) განხორციელება ხელისუფლების ოლქის ორგანოების ყველა დადგენილებისა და განკარგულებისა.

10. სათემო აღმასრულებელ კომიტეტთან ცალკე განყოფილებების მოწყობა არ შეიძლება.

11. სათემო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებება კანონიერია, რომელიც შეადგება მდივნისა და ერთი გადამწერისაგან (საქმის მწარმოებელი).

12. სათემო აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებაშია ადგილობრივი მილიციის მთელი შედგენილობა.

II. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ორგანიზაცია.

13. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა მაზრის ფარგლებში; პასუხისმგებელია სამაზრო საბჭოთა ყრილობის წინაშე და უშვალოდ ექვემდებარება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმსა და სახალხო კომისართა საბჭოს.

14. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს აირჩევს სამაზრო ყრილობა ერთი წლის ვადით; აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა რიცხვი უნდა იყოს 13-ზე არა უმეტეს.

15. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი ეწევა სრულ პასუხისმგებლობას იმ სათემო აღმასრულებელ კომიტეტების მოქმედებისათვის, რომელნიც იმყოფებიან მაზრის ტერიტორიაზე, და არის მათი ხელმძღვანელი და მეთვალყურე.

16. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი აირჩევს თავის წევრთა რიცხვიდან პრაქტიკულ მუშაობისათვის პრეზიდიუმს, რომელიც შე დგება სამი პირისაგან: თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და მდივანისა, რომელთა მოვალეობასაც შეადგენს აღმასრულებელი კომიტეტის და განყოფილებათა მუშაობის ხელმძღვანელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 1: სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი იმავე დროს არის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმიც.

შენიშვნა 2: ბათუმში ქალაქის საბჭო ყოველდღიური მუშაობისათვის გამოჰყოფს არა უმეტეს 7 კაცისაგან შემდგარ პრეზიდიუმს, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე და იქვემდებარება აჭარისტანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

17. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს, როგორც ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, უფლება აქვს, კანონის ფარგლიბში, დამოუკიდებლად გადასწყიტოს ყოველი საქმე ადგილობრივი ხასიათისა და აკრძალვა გამოსცეს ხოლმე სავალდებულო დადგენილებანი.

18. აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების მიზნით და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა და სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებათა დაუყოვნებლივ სისრულეში მოსაყვანად სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან არსდება შემდეგი განყოფილებანი:

1) სამმართველო განყოფილება შემდეგი ქვეგანყოფილებებით:

ა) საინსტრუქტორო-საინფორმაციო;

ბ) სამილიციო;

გ) მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერისა.

შენიშვნა 1: სამმართველო განყოფილებასთან არსებობს ერთი საერთო კანცელარია ყველა მის ქვეგანყოფილებისათვის.

შენიშვნა 2: სამმართველო განყოფილების გამგის თანამდებობისა და მილიციის უფროსის თანამდებობის შეთავსება არ შეიძლება.

შენიშვნა 3: უკეთუ საჭიროება მოითხოვს სამმართველო განყოფილებასთან შეიძლება გახსნილ იქნეს ცეცხლისქრობის საქმეთა ქვეგანყოფილება.

2) საშხედრო,

3) სათინანსო,

4) საადგილმამულო,

5) კომუნალური,

6) სახალხო განათლებისა,

7) ჯანმრთელობისა.

შენიშვნა 1: სასურსათო სახალხო კომისარიატს ჰყავს თავისი ორგანოები სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან ამასთანავე დართული სქემით.

შენიშვნა 2: შრომის სახალხო კომისარიატს აქვს თავისი განყოფილებანი იმ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან, სადაც არსებობს პროფესიონალური ბიუროს სამმართველოები ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინასწარი სანქციით.

19. თვითეული განყოფილების სათავეში სდგას გამგე, რომელიც შეიძლება იყვის აღმასრულებელ კომიტეტის არა წევრთაგანიც; გამგეს აირჩევს აღმასრულებელი კომიტეტი; სათანადო სახალხო კომისარიატს შეუძლიან უკუქცევა მოხსნა-გადაყენება გამგისა. უკეთუ აღმასრულებელი კომიტეტი თანახმა არ იქნება გამგის უკუქცევისა, საკითხს საბოლოოდ გადასწყვეტს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

20. ყოველი პრინციპიალური და მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდება საბოლოოდ აღმასრულებელი კომიტეტის მიერ; კომიტეტიც ეხელავს და ამტკიცებს ცენტრში წარდგენამდე, განყოფილების მიერ შედგენილ აღრიცხვას.

შენიშვნა: აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შედგენილი და დამტკიცებული აღრიცხვა, როგორც თვით კომიტეტისა, ისი მასზე დაბმა მდგომ აღმასრულებელ კომიტეტებისა და დაწესებულებათა წარდგენება ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით.

21. აღმასრულებელი კომიტეტის ყოველი განყოფილება სრულიად ექვემდებარება კომიტეტს და მოვალეა შეასრულოს მისი ყოველი განკარგულება.

22. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი და მისი განყოფილებანი ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეასრულონ განკარგულებანი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოსი და სახალხო კომისრებისა საქვემდებარო განყოფილებათა შესახებ. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც აღმასრულებელი კომიტეტი ამ განკარგულებათა შესრულებას მიზანშეწონლად სცნობს,— იგი,— განკარგულების შესრულების შეუჩერებლად,— შეიტანს შუამდგომლობით ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში, სახალხო კომისართა საბჭოში ან სათანადო სახალხო კომისარიატში,— თავის მოსაზრებათა წარდგენით განკარგულების გაუქმების შესახებ.

23. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს შეაჩეროს სახალხო კომისრის განკარგულების შესრულება, უკეთუ იგი, კომიტეტის აზრით, ეწინააღმდეგება ძირითად კანონებს (ოქტრიტსა, დადგენილებას, ბრძანებას და სხვ.). აღმასრულებელი კომიტეტი, მთლად თვისი შემადგენლობით, პასუხისმგებელია სასამართლოს წინაშე განკარგულებათა შესრულების უკანონო შეჩერებისათვის.

24. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის წევრს არ შეუძლიან უარი განაცხადოს ოფის წოდებაზე ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის თანხმობის გარეშე.

25. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი პასუხისმგებელია თავის განყოფილებათა მუშაობისათვის.

26. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია ყოველ სამ თვეში წარუდგინოს ხოლმე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით, ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს და სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიში მთელი კომიტეტის მუშაობის შესახებ.

27. ცენტრალური დაწესებულებანი მიმართავენ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ თავიანთ განყოფილებას მხოლოდ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მეშვეობით.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმას.
კომიტ. თავმჯდომარე ფ. **მახარაძე**.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმას.
კომიტეტ. მდივანი ო. **კალანდაძე**.

1922 წ. ნოემბრის 30.
ტფილისი—სასახლე.

დინართი საოლქო და სამაზრო აღმასრ. კომიტ. ორგანიზაციის დებულებისა.

სქემა.

ადგილობრივ სასურსათო ორგანოების მოწყობისა.

1. სასურსათო სახალხო კომისარიატისათვის დაკისრებული ფუნქციები, სახელმწიფო სასურსათო პროდუქტების დამზადება, განაწილება და სასურსათო გადასახადის აკრეფა, გადაეცეს ადგილობრივ მომხმარებელს კოოპერაციას.

2. კოოპერაციის მუშაობის სამეთვალყუროდ და სახელმძღვანელოდ ადგილობრივ უნდა იქნეს სახალხო სასურსათო კომისარიატის ცალკე რწმუნებულნი, დანიშნულნი სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

3. სასურსათო გადასახადის აკრეფის საქმეში, აგრეთვე ცენტრის სახელმწიფოებრივი დავალების აღსრულებისათვის სასურსათო სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა ყოველ გზით უნდა ხელი შეუწყოს და გაუწიოს ფართო დახმარება.

4. კოოპერაციისათვის ადგილობრივ სასურსათო ორგანოების ფუნქციათა გადაცემა განხორციელდება თანდათანობით, ადგილობრივ საკოოპერაციო გაერთიანებათა განმტკიცების მიხედვით; იმ შემთხვევაში, უკეთუ მათთან შეთანხმება არ იქნება მიღწეული, ან უკეთუ ისინი უარს იტყვიან ასეთი ფუნქციების მიღებაზე, სასურსათო სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ ნება ეძლევათ, ცენტრის ნებართვით, ესა თუ ის დავალება შეასრულონ ან დამოუკიდებლად, ან სხვა ადგილობრივ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მეშვეობით.

5. ამა რეორგანიზაციის განხორციელება,—თანახმად იმ გარემოებათა, რომელიც შეიძლება გამოირკვეს შემდეგში,—დაევალება სასურსათო სახალხო კომისარიატს.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმას.
კომიტ. თავმჯდომარე ფ. **მახარაძე**.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმას.
კომიტეტ. მდივანი ო. **კალანდაძე**.

22 წ. ნოემბრის 30.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 24.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

საგადასახადო სისტემის შესახებ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში.

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის ამა 1922 წ. ოკტომბრის 9-ს დადგენილებისა, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. სახელმწიფო სარეწავი და საშემოსავლო გადასახადის მოქმედი სისტემა, რომელიც დამყარებულია მიღებული მოგების პროგრესიულ დაბეგვრაზე, განგრძობილ იქნეს.

2. იმ მიზნით, რათა დამყარებულ იქნეს განსაზღვრული შეფარდება სარეწავი და საშემოსავლო გადასახადის კონტიგენტისა,—რესპუბლიკის მასშტაბით,—ადგილობრივი ვალიუტის კურსისა და გადამხდელთა შეძლებულობის შორის,—გადასინჯულ იქნეს წელიწადში ერთხელ აღნიშნულ გადასახადთა განაკვეთი და განისაზღვროს ხოლმე იგი იმ რაოდენობით, რომელიც შეეფერება გადასახადის გაწერისა და აკრეფის დროს.

3. სახელმწიფო სარეწავი გადასახადი გადაჰხდეს საერთო წესით კომერციულ ანგარიშზე გადასულ საბჭოთა საავაჭრო-სამრეწველო საწარმოებს,—გარდა რუსეთში განთავისუფლებულ კომუნალურ საწარმოებისა,—რომელთაც არ შეაქვთ სახელმწიფო სალაროში თავიანთი შემოსავლის ზედმეტი ნაწილი და აგრეთვე დაევალოს ხსენებულ საწარმოებს მათ მიერ დადებული, გაცემული და მიღებული ყოველგვარი აქტისა, ქალალდისა და დოკუმენტისათვის გადაიხადონ სახელმწიფო საღერბო ბაჟი.

4. განგრძობილ იქნეს არაპირდაპირი გადასახადის მოქმედი სისტემა დამყარებული გადასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხადთა გარდახდევინების პრინციპზე, რომლითაც კანონისამებრ განსაზღვრულია საგნის საშუალო გასასყიდ ფასთან გადასახადის პროცენტული შეფარდება.

5. დაწესებული შეფარდება გადასახადისა საგნის საშუალო გასასყიდ ფასთან (პროცენტებში) დარჩეს ძალაში.

6. წესი სააქციზო დაბეგვრის განაკვეთების პერიოდულად გადასინჯვისა, ბეგარა დასადებ საგანთა საშუალო გასასყიდ ფასების ცვლილებასთან დაკავშირების,—დარჩეს ძალაში.

7. სააქციზო დაბეგვრის საგანთა სია გადიდდეს შეძლებისამებრ და შეტანილ იქნეს მასში მასიური ხ'არების, მაგრამ არა პირველი საჭიროების, საგნები (ხელოვნური მინერალური წყალი, საკონდიტრო ნაწარმოები და სხვ.).

8. გადაეცეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს სასურსათო გადასახადის 20 პროც.

9. გადაეცეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს 20 პროც. ტყისა, სათიბებისა და საძოვარი ადგილების შემოსავლიდან.

10. სარეწავი და საშემოსავლო გადასახადიდან ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების სასარგებლოდ 1923 წ. იანვრის 1-დან გადარიცხული იქნეს ხოლმე 30 პროც.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმას.
კომიტ. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმას.
კომიტეტის მდივანი **ო. კალანდაძე.**

1922 წ. ნოემბრის 27.
ტფილისი — სასახლე.

დადგენილება № 25

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სამოქალაქო გადასახადის შესახებ ზემო ავჭალაში ჰიდრო-ელექტრონული სადგურის მოხაწყობი ფონდის გასაძლიერებლად.

ზემო-ავჭალაში ჰიდრო-ელექტრონული სადგურის ასაგებად საჭირო მუშაობის წარმატებით შესრულებისათვის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს 1922 წ. ქალ. თბილისში მცხოვრებ ყველა შრომის უნარიან მოსახლეზე განსაკუთრებული სამოქალაქო გადასახადი, სახელდობრ მამაკაცზე ხნოვანობით 17-დან 60 წლამდე, ქალზე ხნოვანობით 17-დან წლამდე.

2. გადასახადისაგან განთავისუფლდება: ა) ნამდვილ სამსახურში მყოფი წითელ არმიელი და მილიციონერები, ბ) სახელმწიფო სასწავლებელთა მოსწავლენი, გ) პირი, რომელიც სარგებლობს სოციალურ უზრუნველყოფას და უმუშავარი, რომელიც ალრიცხულია შრომის ბირჟაში, დ) ქალი, რომლის მზრუნველობაშიც იმყოფება ერთი ან მეტი ბავშვი 14 წლამდე და ოჯახის სხვა შრომის უნარმოკლებული წევრი, თუ იგი დამოუკიდებლად სხვისი დახმარების გარეშე ეწევა თავის მეურნეობას და აგრეთვე დიასახლისი, რომელიც ემსახურება ხუთისა და მეტის სულისაგან შემდგარ ოჯახს.

შენიშვნა: გადასახადისაგან განთავისუფლდება, აგრეთვე, ის პირი, რომელსაც უკვ. გადაუხდია სამოქალაქო გადასახადი სხვა საბ ჭოთა რესპუბლიკებში და წარმოადგენს სათა ნადო კვიტანციას.

3. სახელმწიფო სამოქალაქო გადასახადის განაკვეთი დაწესებულ იქნეს შემდეგი რაოდენობით (ოქროთი): ა) მუშა მოსამსახურეებისათვის, რომელ ნიც იღებენ ჯამაგირს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ სატარიფო ქსელის მე-9 კატეგორიამდე—ორმოცდა ათი (50) კაპ., ყველა დანარჩენი მუშა მოსამსახურეები სათვის, რომელნიც იღებენ ჯამაგირს 9 კატეგორიის ზევით თითო ერთ მანეთს სულზე, ბ) საავჭრო სამრეწველო კლასის პირთათვის სამი მან., ხოლო ყველა დანარჩენ მოქალაქეთათვის—ერთი მანეთი და ორმოცდა ათი კაპ. სულზე.

4. წინა მესამე მუხლის ა ლიტერში ნაჩვენებ პირთა შორის გადასახადისაგან სრულიად განთავისუფლდება ის პირი, რომელიც არჩენს სამზე მეტ ბავშვს.

5. ამა დადგენილებით დაწესებული გადასახადი შეტანილ უნდა იქნეს ყველა კატეგორიის გადამხდელთა მიერ არა უგვიანეს 1922 წლის დეკემბრის 31-სა.

შენიშვნა: გადასახადის გაუღებლობის გამო 1923 წლ. იანვრის 15-სათვის სამოქალაქო გადასახადს მიემატება 25 პროც. საუ რავი, ხოლო 1923 წლ. იანვარის 31-დ გადაუხდელობის გამო გადასახადი უნდა იქნეს ერთი-ორად.

6. სამოქალაქო გადასახადისაგან შემოსული ყველა თანხა მთლიანად ჩაირიცხება ზემო ავჭალაში ჰიდრო-ელექტრონული სადგურის აგების საქმეთა კომიტეტის ფონდის გასაძლიერებლად და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოხმარებულ იქნეს სხვა მიზნისათვის.

7. ამა დადგენილების განსავითარებლად თბილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს ამიერ-კავკასიის სოციალისტურ რესპუბლი

კათა ფ-დერატიული კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან საქართველოში ერთად გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმას.
კომიტეტ. მდივანი ფ. მახარაძე.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი.

სრულიად საქართ. სახ. კომ. საბჭ.
მდივანი ალ. სალარაძე.

1922 წ. დეკემბრის 7.
თბილისი—სასახლე.

სახ. კომისართა საბჭო

დადგენილება 44.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოსი

პურეულზე დადებულ მევახშურ ხელშეკრულებათა გაუქმების შესახებ.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო, სცნობს რა აუცილებელ საჭიროებად, რათა მიწის მომუშავე მოსახლეობა განთავისუფლებულ იქნეს მის მიერ,—გაჭირვების ზეგავლენით,—პურეულზე დადებულ მევახშურ ხელშეკრულებათა აღსრულებისაგან,—ადგენს:

1. გამოცხადდეს გაუქმებულად ყოველივე ხელშეკრულება, რომლის ძალითაც სესხთა მიცემული ხორბლეულობა უნდა დაუბრუნოს სესხის მიმცემს იმ რაოდენობით, რაც თვით სესხს აღემატება 25 პროცენტზე უმეტეს.

შენიშვნა: ამა მუხლში აღნიშნული ყველა ხელშეკრულება გაუქმებულ უნდა იქმნას მიუხედავათ იმისა თუ რა ფორმით იქნება იგი დადებული.

2. ამა დადგენილების პირველი მუხლის თანახმად გაუქმებული ყველა ხელშეკრულებით მხარე, რომელსაც სესხი მიუღია ვალდებულია დაუბრუნოს იგი სესხის მიმცემს იმ რაოდენობით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პირველი მუხლით გათვალისწინებულს.

3. სესხის მიცემა რომელიც მოითხოვს მევახშურ ხელშეკრულების შესრულებას, ან მოვალეს გადაახდევინებს წინა მუხლით გათვალისწინებულ რაოდენობაზედ მეტს, მიეცემა სასესხლის სამართლის პასუხის გებაში როგორც მევახშეობისათვის.

4. დადგენილება ესე ვალდებულ მხარეს არ ართმევს უფლებას მიმართოს სასამართლოს თხოვნით ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.
საბჭ. თავმჯდომარე ს. ქავთარაძე.

სახ. კომის. საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. აგვისტოს 17
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 59.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო, სცნობს რა, რომ „შევარდენისა“, „სკაუტისა“ და „სოკოლის“ სასპორტო საზოგადოებათა მოღვაწეობა არ შეესაბამება საბჭოთა სახელმწიფოს მიზანსა და მისწრაფებას, ადგენს:

საზოგადოებანი „შევარდენი“, „სკაუტი“ და „სოკოლი“ დაშლილ იქნეს ყველგან საქართველოში.

2. მოწყობილ იქნეს,—საქ. კომუნისტური ახალგაზრდობის ცენტრალურ კომიტეტთან და ყველა ადგილობრივ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობით,—საზოგადოება „სპარტაკი“.

საზოგადოება „სპარტაკის“ ორგანიზაციისა და მთლად მისი მუშაობისა, აგრეთვე ყველა მისი განყოფილების მუშაობისათვის ადგილობრივ,—სახელ ძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს „სპარტაკის“ პროგრამის დროებითი წესდება, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტის მიერ.

3. „შევარდენისა“, „სკაუტისა“ და „სოკოლის“ საზოგადოებათა მთელი ქონება, აგრეთვე ყოველი სადგომი, რომელიც მათ ხელშია, გადადის „სპარტაკის“ საზოგადოების სარგებლობაში.

4. „შევარდენისა“, „სკაუტისა“ და „სოკოლის“ საზოგადოებათა ლიკვიდაციისათვის მოწყობილ იქნეს: ცენტრალური კომისია, რომელშიაც უნდა შევიდნენ: საქართ. კომუნისტური ახალგაზრ-

დობის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. საყოველთაო სამხედრო სწავლების უფროსი, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელი, განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი და, სათათბირო ხმით, „შევარდენისა", „სკაუტისა" და „სოკოლის" საზოგადოებათა წარმომადგენელნი ხოლო ადგილობრივ სამაზრო კომისიები, რომელშიაც უნდა შევიდნენ საქართ. კომუნისტური ახალგაზრდობის სამაზრო კომიტეტის მდივანი, სამაზრო სამხედრო კომისარი, სამაზრო პროფესიონალური ბიუროს პასუხის-მგებელი მდივანი-სახალხო განათლების წარმომადგენელი და, სათათბირო ხმით „შევარდენისა", „სკაუტისა" და „სოკოლის" ადგილობრივ განყოფილებათა ხელმძღვანელნი.

5. „შევარდენისა", „სკაუტისა" და „სოკოლის" საზოგადოებათა ყველა წევრი ასაკით 14 წლამდე—შეუძლიან დარჩეს „სპარტაკის" საზოგადოების წევრად, ხოლო წევრს ასაკით 14 დან 16 წლამდე შეიძლება მიღებულ იქნეს „სპარტაკის" საზოგადოებაში ამ საზოგადოების მომწყობ კომისიების მიერ „სპარტაკის" საზოგადოებაში წევრების მიღება უნდა სწარმოებდეს „სპარტაკის" საზოგადოების წესდების თანახმად.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

მ. ორახელაშვილი.

სახ. კომის. საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. ნოემბერი 23.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 61.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს სახალხო ბანკის მიერ ვადა გასულ სესხისა და სხვა საქმიანობა ოპერაციებით გაცემულ ვალის გადახდევინების წესის შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო ბანკის გამგეობას უფლება მიეცეს გადაახდევინოს თავის კლიენტებს ყველა ვადა-გასული სესხი და სხვა საქმიანობა ოპერაციით გაცემული ვალი—თავისი შეხედულებით, ქართული ბანკნოტებით, ვადის გასვლის დღის კურსით.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.
საბჭ. თავმჯდ. მოადგ. **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკ. ფედ. ფინანს. სახ. კომის.
რწმუნებ. საქართ. **ბ. ბიბინეიშვილი.**

სახ. კომის. საბჭ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. დეკემბრის 5.
ტფილისი—სასახლე.

დეკრეტი № 14.

საქართ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

ათიათას მანეთიანი ქართული ფულის ნიშნის გამოცემის შესახებ.

ფულის ტრიალისათვის დიდი კუპიურის საჭიროების გამო და აგრეთვე ფულისა და საქონლის ტრიალის გასაადვილებლად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გამოკემული იქნეს სატრიალებლად 1922 წ. დეკემბრის 11-დან ფულის ნიშანი (ქართული ბონი) ათიათასი მანათის ღირებისა.

2. ათიათას მანათიანი ღირებების ფულის ნიშანი (ქართული ბონი) იხმარება ყველგან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში უკვე წინად გამოცემული ფულის ნიშნების თანახმად, უთანასწორდება თავისი ღირებებისამებრ ათიათას ქართულ მანათს და სავალდებულოა ძისაღებად სახელმწიფო დაწესებულებათა და კერძო პირთათვის.

3. ზემოალნიშნული ღირებების ფულის ნიშნებისათვის (ქართული ბონისათვის) პასუხისმგებელია სახელმწიფო მთელი თავისი ქონებით და ყალბი ფულის ნიშნის დამზადებისათვის დაძნაშავე დაისჯება კანონისაებრ სისხლის სამართლის წესით.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.
საბჭ. თავმჯდ. მოად. **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკ. სოც. რესპ. ფედერ. ტ. კავშ.
ფინანს. კომის. რწმ. საქ. **ბ. ბიბინეიშვილი.**

სახ. კომის. საბჭ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. დეკემბრის 7.
ტფილისი—სასახლე.

ცირკულიარულად.

ს. ს. ს. რ. ყველა სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეებს.

თანახმად ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. ფინანსთ. სახალხო კომისარის საქართველოში რწმუნებული განკარგულებისა მიმდინარე წლის 24 აგვისტოდან ყველა სოფლების ხელისუფლებათა აღმასრულებელი ორგანოები ვალდებულნი იყვნენ წარედგინათ სათანადო რაიონის საგადასახადო განყოფილებაში, არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისა, დაწესებული ფორმით, სია იმ პირთა, რომლებთაც აქვთ დამოუკიდებული შემოსავალი, რათა საგადასახადო განყოფილებას დაებეგრა ასეთები 1922 წლის საშემოსავლო გადასახადით განსაზღვრულ დროისათვის. მიუხედავათ ამ განკარგულებისა უმრავლესობას სოფლების ხელისუფლებათა აღმასრულებელ ორგანოებისა დღემდისაც არ წარუდგენიათ განყოფილებებში აღნიშნული სიები.

გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს, წანადადებას გაძლევთ, თქვენი, პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ, სასწრაფოთ მიიღოთ სათანადო ზომები, რათა დასახელებული სიები დაუყოვნებლივ იქნას წარდგენილი ყველა სოფლების ხელისუფლებათა აღმასრულებელ ორგანოების მიერ სათანადო საგადასახადო განყოფილებაში.

ს. ს. ს. რ. სახ. კომის. საბჭ. თავმჯდ.
მაგიერ **მ. ორახელაშვილი.**

შინაგან საქ. სახ. კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

ამიერ-კავკ. ს. ს. რ. ფინანს. სახ. კომის.
რწმუნებული საქართ. **ბ. ბიბინეიშვილი.**

ამ. კავკასიის საკავშ. საბჭო.

ბრძანება № 182.

ამიერ-კავკასიის ს. ს. რესპუბლიკების ფედ. კავშ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისადმი.

ამანასთანავე ქვემდებარ ამიერ-კავკასიის ს. ს. რესპუბლიკების ფედ. კავშირის საბჭო დაწესებულებათა სახელმძღვანელოთ და აღსასრულებლად, „დროებითი წესები საზღვარ-გარეთ საქონლის გაშვების, საქონლის შემოტანის და გასატან საქონლის ტარაზე შედავათის დაწესების შესახებ.

დანართი **„დროებითი წესები“.**

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარის მოადგილე: **გაჯინსკი.**

საბჭო სამმართველოს უფროსი საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარ. კოლეგიის წევრი **ვირაბი.**

საგარეო ვაჭრობის სახ. კომის. საქმეთა მმართველი: **გორჩაკოვი.**

„ვამტკიცებ“ საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარის მოადგილე: **გაჯინსკი.**

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. ფ. კ.
საგარეო ვაჭრობის სახ. კომის.
ბრძანების დანართი № 182.

დროებითი წესები.

საზღვარ-გარეთ საქონლის გაშვების, საქონლის უკან შემოტანის და გასატან საქონლის ტარაზე შელავათის დაწესების შესახებ.

1. საზღვარ-გარეთ საქონლის გაშვება სწარმოებს საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის სათანადო ორგანოების მიერ მიცემულ სპეციფიკაციის და ნებართვების მიხედვით, რომელიც უნდა წარდგენილ იქნას განსაკუთრებულ წერილობითი განცხადებებთან ერთად.

შენიშვნა: ნებართვები საჭიროა მხოლოდ ლიცენზიურ და სამონოპოლიო საქონლის გატანისათვის.

2. სპეციფიკაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს: ადგილი და დრო შედგენისა, ფასი, საქონლის ჭურჭელის (упаковка) ფორმა, ადგილების რიცხვი, ნიშნები და ნომრები, თვითეულ ადგილში საქონლის რაოდენობა და ხარასხი, გარდა იმ საქონლისა, რომელიც დაყრილი დაგროვებულია (насыпью или навалку) ესეთ საქონლის რაოდენობა აღინიშნება საერთო წონით ან ზომით.

3. განცხადება (მუხ. 1) ხელმოწერილი უნდა იყოს საქონლის გამგზავნელის მიერ და უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს: 1) საქონლის გამგზავნელის სახელწოდება, 2) დართულ დოკუმენტების ნუსხა, 3) განცხადების შედგენის თარიღი და გამგზავნელის საცხოვრებელი ადგილი, 4) ქვეყანა და ადგილი, სადაც საქონელი იგზავნება და 5) ზღვით გაგზავნის დროს—გემის სახელწოდება ეროვნების დასახელება, ვისაც ეს გემი ეკუთვნის, რკინის გზით გადაგზავნის დროს—შეძლებისადაგვარათ ვაგონების რიცხვი და ნომრები, მდინარეებით და ტბებით გატანის დროს—გემების სახელწოდება ან ტივების რიცხვი, ხოლო გზატკეცილებით—ურმების (повозка) რიცხვი.

4. ისეთ საქონელზე, რომელზედაც დაწესებულია სააქციზო გადასახადი საზღვარ გარეთ გატანის დროს, უნდა წარმოდგენილ იქნას დოკუმენტები, რომელიც ნაგულისხმევია დადგენილებებით, საააქციზო ნაწილის შესახებ.

5. საექსპორტო საქონელზე საბჭო ზედამ-

ხელველობა შეიძლება მოხდეს სანაპირო ან შინაურ საბაჟოებში და აგრეთვე იმ ადგილებში, სადაც საბაჟოები არ არსებობს, უკანასკნელ შემთხვევაში უახლოეს საბაჟოდან თანამშრომელთა წარგზავნით.

6. თანამშრომელთა მივლინება საექსპორტო საქონლის გასაშინჯავად, მე-5 მუხ. თანამხად ხდება საქონლის გამგზავნელის ხარჯზე, რომელიც აუნაზღაურებს ხაზინას ფაქტიურ ხარჯებს მივლინების გამო (დღიური და საგზაო ხარჯები).

7. ის საქონელი, რომელზედაც დაწესებულია საბაჟო გადასახადი, გაისინჯება იმავე საფუძვლებზე, როგორც ის საქონელი, რომელიც შემოდის საზღვარ-გარეთიდან.

8. საბაჟო გადასახადისაგან თავისუფალი საქონელი ყოველმხრივ არ იქნება გაშინჯული, ხოლო შემოწმებულ იქნება იმ დოკუმენტების მიხედვით, რომელიც აღნიშნულია ამა წესების 2—3 მუხლებში, ამ საქონლის გადასაზიდ საშუალებათაგან გადმოუტვირთავად.

9. ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების მრეწველობის ან ნიადაგის ნაწარმოებ საქონლის გამგზავნელს ენიჭება უფლება მიიღოს საბაჟოდან მოწმობა ამ საქონლის ან მისი ნაწილის საზღვარგარეთიდან უკანვე შემოტანისათვის მოწმობის გაცემის დღიდან 6 თვის განმავლობაში საბაჟო გადასახადის უკან დაბრუნებით.

10. იმ საექსპორტო საქონლის სანაპირო საბაჟოებში, რომელიც გაშინჯულია ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა ფედერატიულ კავშირის შიგნივ, უნდა სწარმოებდეს ორ ეგზემპლიარად შედგენილ მოწმობებით.

11. ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპ. ფედ. კავშ. შიგნივ გასინჯულ საქონლის რკინის გზით სანაპირო საბაჟო დაწესებულებებში გადაზიდვა სწარმოებს სათანადო გზების პასუხისმგებლობით.

12. ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპ. ფედერატ. კავშირის შიგნივ გაშინჯულ საქონლის საზღვარ-გარეთ გაშვება, სწარმოებს სანაპირო საბაჟოების მიერ საბაჟო უზრუნველყოფის შემოწმების და საქონლის ადგილების გარეკნულად დათვალიერების შემდეგ საქონლის გადმოუტვირთავად და გაუხსნელად.

13. იმ შემთხვევაში თუ სანაპირო საბაჟო დაწესებულებებში საქონლის გადაზიდვის დროს საბაჟო უზრუნველყოფანი ან ჭურჭელი (упаковка), რომელშიაც საქონელია მოთავსებული დაზიანებულია, ის საქონელი, რომელზედაც დადებულია საბაჟო გადასახადი, ხელ ახლა ყოველმხრივ გაიშინჯება, ხოლო საბაჟო გადასახადისაგან თავისუფალი საქონელი—მხოლოდ შემოწმებულ იქნება.

14. საზღვარ გარეთ საქონლის გაშვების შემდეგ, გაზიდვის მოწმობის ერთი ეგზემპლიარი სათანადო ზედწარწერით უბრუნდება სათანადო შინაურ საბაჟოს, ხოლო მეორე—დაერთვის საზღვარ გარეთის საბაჟოს დოკუმენტებს.

15. გასაზიდ საქონელის საბაჟო გადასახადის გამოანგარიშება და გადახდევინება სწარმოებს სათანადო დადგენილებათა მიხედვით საზღვარ გარეთის საქონლის შემოტანის შესახებ.

16. საბაჟო და სხვა გადასახადების შეტანა სწარმოებს საქონლის გამგზავნელის მიერ ან უშუალოთ იმ საბაჟოს კასაში, რომელმაც გასინჯვა მოახდინა (შინაურ ან სანაპირო საბაჟოში), ან ფინანსთა სახ. კომისარიატის ადგილობრივ კასაში, ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში სანაპირო საბაჟოში უნდა წარდგენილ იქნას დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს სათანადო თანხის შეტანას ფინანსთა სახ. კომისარიატის კასაში.

შენიშვნა: სახელმწიფო დაწესებულებათა და აგრეთვე მსხვილ სამეურნეო ორგანიზაციების მიერ საზღვარ გარეთ გასატან საქონლის საბაჟო გადასახადების შეტანა, შეიძლება მოხდეს თანახმად წესებისა სახელმწიფო ბანკის მიერ გასატანი საქონლის ბაჟის შესატანად კრედიტების მიცემის შესახებ. (შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენ. 4 | VIII —22 წ.).

17. იმ შემთხვევაში, თუ გასაზიდი საქონელი რესპუბლიკის საზღვრებში გაფუჭების გამო ან სხვა რაიმე მიზეზით, რომელიც დოკუმენტალურად დადასტურებულ უნდა იქნეს სათანადო ხელისუფლების მიერ, ნამდვილად არ იქნება გადატანილი საზღვარგარეთ, საბაჟო გადასახადი, რომელიც დადებულია და აღებული ამ საქონელზე უნდა იქნეს მოხსნილი ან დაუბრუნდეს გამგზავნელს.

18. გასაზიდ საქონლის საბაჟოს საწყობებში შენახვისათვის შეტანილ უნდა იქნეს საწყობის გადასახადი იმ წესების მიხედვით, რომელიც შემუშავებულია სამპორტო საქონლისათვის.

19. საზღვარ გარეთ საქონლის გატანის ნებართვას აძლევს სანაპირო საბაჟო მხოლოდ საბაჟო და სხვა გადასახადების შეტანის შემდეგ.

20. ნებადართულია უცხოეთიდან ჭურჭელის ტარას (упаковка) შემოტანა, საექსპორტო საქონლის გასატანად, 6 თვის განმავლობაში საბაჟო გადასახადის გადახდევინების გარეშე, მხოლოდ უნდა იქნეს შეტანილი გირაო ხვედრ საბაჟო გადასახადის რაოდენობით.

21. საზღვარ გარეთიდან იმ საგნების უკან შემოტანა, რომელშიაც შენახული იყო საექსპორტო საქონელი (ყუთები, ბოჭკები, ტომრები და სხვა) ნებადართულია საბაჟო გადასახადის გადაუხდელად 6 თვის განმავლობაში საქონლის საზღვარ გარეთ გატანის დღიდან, იმ პირობით თუ, საბაჟო დაწესებულებიდან წინასწარ მიღებული იქნება სათანადო მოწმობები.

საბაჟო სამმართველოს უფროსი **ვირაპი**.

28 ნოემბ. 1922 წ.

ამიერ-კავკასიის

ფედერაციული კავშირის საფინანსო კომისარიატის რწმენებულისაგან საქართველოში.

(ამონაწერი უცხოელი ვალიუტისა და სავალიუტო დირებულებათა საზღვარ გარეთ გაზიდვის მისაცემ ნებართვების წესრიგის ინსტრუქციიდან, თანახმად საკავშირო საბჭოს დადგენილებისა № 50).

1. თანახმად ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ, რესპ. ფედერაციის საკავშირო საბჭოს დადგენილებისა 1922 წლის 21 ნოემბრიდან № 50 აკრძალულია საკავშირო საბჭოს მიერ განსაკუთრებულად ნებადაურთველი გაზიდვა საზღვარ გარედ ვალიუტისა და სავალიუტო ღირებულებათა დადგენილ ნორმაზე ზევით, რომელიც ნაჩვენებია 1 სტ. მეორე შენიშვნაში და აღნიშნულ დადგენილების ცალკე დებულებაში.

2. ვალიუტის გასაზიდ ნებართვების მთხოვნელები უდგენენ საკავშირო ფინანსკომის რწმუნებულს სათანადო რესპუბლიკისა მათ მიერ ხელმოწერილ განცხადებას სათანადო შესებულ საანკეტო ფურცლებთან ერთად.

3. ნებართვის ასაღებად აუცილებელი პირობაა, კერძო დაწესებულებებთა (კოოპერატივები, შერეული საზოგადოებანი და სხვა). ფორმათა და პირთათვის, რომ მათ გაზიდულ ღურებულებათა სამაგიეროდ შემოიტანონ სათანადო ღირებულების საქონელი მეორე სტატიაში ნაჩვენებ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი.

შენიშვნა: ამიერ-კავკასიის და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში მოქმედ მუშათა კოოპერატივების მთავარ ორგანიზაციებისათვის დასაშვებია ნებართვის მიცემა უცხოელი ვალიუტის საზოგადოთ საზღვარ გარედ, თუ ისინი ბანკების საგარანტიო წერილის მაგიერ წარმოადგენენ დაწესებულების ვალდებულებას, მეთაურთა მიერ ხელმოწერილს მასში, რომ უკანასკნელი კისრულობს ნებართვის აღების დღიდან ოთხი თვის განმავლობაში შემოიტანოს უცხოეთიდან ამიერ-კავკასიის ფედერაციის საზღვრებში საქონელი, მათ განცხადებაში ნაჩვენები.

4. ვალდებულების შესრულება უნდა უზრუნველყოფილ იქნას ერთ-ერთ სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებ ს ან მისი განყოფილების დეპოზიტში ნებადართულ გასაზიდ ვალიუტის ღირებულების 20 პროც. წინდაწინ შეტანით (მეოთხე სტატია).

5. საშუალებანი და რაობა უზრუნველყოფათა თვითეულ შემთხვევებში უნდა (განსაზღვროს) გამოიკვლიოს აღნიშნულ ბანკის ადმინიტრაციამ, გამცხადებელთან ერთად, რომელიც მოვალეა წარმოუდგინოს ფინანსკომის წარმომადგენელს ბანკის საგარანტიო წერილი იმაში, რომ უკანასკნელი ფინანსკომის წინაშე კისრულობს პასუხისგებას ვალიუტის მოშტანის მაგიერ გასაზიდ ვალიუტის 20 პროც. ფარგლებში, თუ გამცხადებელი არ შეასრულებს თავის დროზე თავის პირობებს, უცხოეთიდან ვალიუტის სათანადო ღირებულების საქონლის შემოზიდვის შესახებ, როგორც ეს მის განცხადებაშია ნაჩვენები.

6. გამცხადებლისათვის გარანტიის მიცემაში ბანკს უფლება აქვს გადაახდევინოს მას უზრუნველყოფის საერთო ჯამიდან გასაზიდ ვალიუტიდან 20 პროც. ორ პროცენტამდის თვეში გარდა ნამდვილი ხარჯებისა შენახვის, დაზღვევისა და სხვა საერთო პირობათა სასაქონლო—სასესხო ოპერაციების მიხედვით.

7. სავალიუტო ღირებულებათა გასაზიდ ნებართვის აღებაში გამცხადებლები იხდიან ნებართვის დამზადება—გაცემაში გაწეულ ფინანსკომის ხარჯების დასაფარავად 1 პრ. გასაზიდათ ნებადართულ ღირებულებისას; სამთავრობო და სახელმწიფო დაწესებულებანი არ არიან თავისუფალნი აღნიშნული 1 პროც. გადასახადისაგან.

8. მოწაფეებს, რომელნიც მიეგზავრებიან საზღვარ გარედ და სურთ გაიტანონ უცხოელი ვალიუტა ნორმაზე მეტი თანახმად 1 § მეორე შენიშვნისა განათლების კომისარიატის მოწმობის წარდგენით, რომ ისინი წარიგზავნებიან საზღვარგარედ განათლების განსაგრძობათ, მოწაფის ანგარიშში მიეცემათ ნება საზღვარ-გარეთ წასვლის დროს გაიტანონ უცხოელი ვალიუტა არა უმეტეს 65 მანეთისა ოქროთი შემდეგ კი მოწაფეს შეიძლება მიეცეს ნება რომ მან პერიოდულათ მიიღოს ვალიუტა ყოველთვიური საცხოვრებელი მინიმუმის ანგარიშით 75 მანეთი ოქროთი.

9. ავადმყოფები რომელნიც მიემგზავრებიან უცხოეთში და სურთ გაიტანონ ვალიუტა დადგენილ ნორმაზე მეტი, თანახმად 1-ლი §-ს მე-2 შენიშვნისა, არდგენენ მოწმობას ჯანსაღკომისრისგან, ხსენებულ პირთა საზღვარ გარეთ ექიმობის აუცილებლობის შესახებ. ზოგიერთ შემთხვევებში ნებადართულ უცხოელ ვალიუტისა—საზღვრავს თვითთვეულ შემთხვევაში ამიერ კავკასიის ფინანსკომი.

10. განცხადებები ვალიუტის გასატან ნებართვების მისაღებათ ყველა სათანადო ნართებით უნდა შემოტანილი იქნას ორ ეგზემპლიარად.

გარდა ამისა აუცილებელია წარმოდგენილ იქნას სათანადო დოკუმენტები სასარეწაო მოწმობის რეგისტრაციისა ან აღების შესახებ.

11. ღირებულებათა გასაზიდად მიცემული ნებართვები ძალაშია ორი თვის განმავლობაში, უკანასკნელ ვადად უცხოეთიდან საქონლის შემოტანის ვალდებულებისა ინიშნება 4 თვე ნებართვის გაცემის დღიდან დაწყებული.

12. როდესაც ფინანსკომის რწმუნებულს დანიშნულს ვადაზე წარუდგენენ საბუთებს მასში, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანახმად დადებულ პირობისა უცხოეთიდან შემოტანილია სათანადო საეკვივალენტო საქონელი და ამაში წარმოდგენილი იქნება დოკუმენტები, როგორც: საბაჟოს მოწმობა, კონოსამენტი, ფაქტურა, დაზღვევის მოწმობა და სხვა ფინანსკომის, რწმუნებული რთავს ნებას, რომ მასთან შენახული ბანკის საგარანტიო წერილი წარწერით დეპოზიტად შეტანილი ფულები დაუბრკოლებლივ დაუბრუნდეს მის კანონიერ პატრონს.

13. თუ მიცემულ ნებართვაში დადებულ უკანასკნელ ვადის გათავებისას არ იქნება წარმოდგენილი დასაბუთებული რწმუნება უცხოეთიდან დაპირებული საქონლის მოტანაში, ფინანსკომის რწმუნებული მოითხოვს და აიღებს ბანკიდან, თანახმად ბანკის საგარანტიო წერილისა, 20 პროც. გატანილ ვალიუტის ღირებულებისას ნატურით ან ადგილობრივი ფულის ნიშაებით დღის კურსით.

14. იმ შემთხვევაში თუ კანონიერ ვადის განმავლობაში მიმღები დაუბრუნებს ვალიუტის გასაზიდ გამოუყენებელ ნებართვას თხოვნით, რომ მას დაუბრუნონ საწინდარი (20 პროც.) თხოვნა შეიძლება შესრულებულ იქნას, მხოლოდ მას გამოერიცხება 1 პროც. გასაზიდათ ნებადართულ ვალიუტის ღირებულებიდან საწინდარის მიღების დღის კურსით.

15. ვალიუტის გასაზიდი ნებართვები არის სახელობითი დოკუმენტები და გამოიწერებიან ვალიუტის გამტანის სახელზე მისი განცხადების ან იმ დაწესებულების ჩვენებით, რომელიც თხოულობს ნებართვას თავის პასუხისმგებლობით, და ამ ნებართვების სხვა პირზე ან დაწესებულებაზე გადაცემა აკრძალულია.

16. დასაშვებია გაცვლა მიცემული ნებართვისა ახალ ნებართვაზე (ვალიუტის შეცვლა ან პირის გამოცვლა—რომელმაც უნდა გაიტანოს ვალიუტა და სხვა). გადაცვლა ხდება იმავე წესრიგით, როგორც პირვანდელი ნებართვის აღება ფინანსკომის რწმუნებულთან, მხოლოდ ნებართვის გადაცვლისთვის დაინტერესებულთ გადახდებათ გასაზიდი ვალიუტის ღირებულების $^1/_2$ პროც. გადაცვლის დღის კურსით.

17. თანახმად საკავშირო საბჭოს დადგენილებისა მე-5 სტ. ნებართვა ვალიუტის გასატანად ეძლევა მთხოვნელთ იმ გვარადვე, როგორც ეკვივალენტი უცხოეთიდან დამოუკიდებლად შემოტანილ საქონელში, აუცილებელი პირობაა მხოლოდ, რომ მოტანილი საქონლის ნომენკლატურა აღნიშნული იყოს მე-2 სტატიით აღნიშნულ სიაში.

18. ვალიუტის გასატანი ნებართვების მიღება ხდება ზემოთაღნიშნული წესით—ფინანსკომის რწმუნებულის საშუალებით. საბუთად, რომ საქონელი უცხოელი ნაწარმოებია—უნდა წარმოდგენილი იქნას კონოსამენტები, რკინის გზის დუბლიკატები, დასაზღვევი მოწმობები, საბაჟო მოწმობები, ფაქტურები და სხვა, რომელნიც უქმდებიან მხოლოდ ფინანსკომის რწმუნებულის ბეჭდით.

19. ვალიუტის გასატანი ნებართვების მიღებისათვის ამ შემთხვევებშიაც დანიტერესებულნი იხდიან ღირებულებიდან 1 პროც.

20. იმ შემთხვევაში, თუ უცხოელი საქონლის შემოტანიდან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიაზე გავიდა ორ თვეზე მეტი—ნებართვა სათანადო ვალიუტის გასატანად არავის მიეცემა.

საქმეთა მმართველი **ელისაბედაშვილი.**

შინაგან საქმ. სახ. კომის.

ცირკულიარულად.

ყველა მაზრა-ქალაქების და ნავთსადგურების მილიციის უფროსებს.

უწყებების ჩაბარების შესახებ.

როგორც იუწყება იუსტიციის სახალხო კომისარიატი, სახალხო მოსამართლეთა საბჭოს 14 ამა ნოემბრის სხდომაზე განსახილველად დანიშნული ყოფილა რვა სხვა და სხვა საკასაციო საჩივარი, რომელთა შორის მხოლოდ ორი განხილულა, ექვსი კი გადადებულა სხვა დროსათვის, იმ მიზეზით, რომ უწყებები, რომლებიც გადაეგზავნა 16 ოქტომბერს მილიციის უფროსებს: ქუთაისისას—№ 90, რაჭისას—№ 206, ზუგდიდისას—№ 152, საჩხერისას—№ 644 და სენაკისას—№ 154, არა თუ არ დაუბრუნებიათ დროზე შესრულებული, როგორც ამას კანონი მოითხოვს, არამედ ცნობებიც კი არ მიუწოდებიათ საბჭოსათვის მათი შესრულებლობის მიზეზებზე, მიუხედავად იმისა, რომ უწყებები შესასრულებლად დაგზავნილი ყოფილა ერთი თვით ადრე. გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს, და მოგაგონებთ რა ა. წ. 28 ოქტომბრის № 20|64 შ. ს. ს. კ. ცირკულიარს, ერთხელ და უკანასკნელად გაფრთხილებთ, მიიღოთ ყოველგვარი ზომა, რათა თავის დროზე იყოს მოყვანილი სისრულეში ყველა სასამართლო დაწესებულებათა კანონიერი მოთხოვნილება და თუ კიდევ ექნა ადგილი ამგვარ უმოქმედობას და დაუდევრობას, დამნაშავენი სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის
მოადგილე **ვ. ტალახაძე.**

სამილიცო განყ. უფროსი **გ. ქავთარაძე.**

საადმინისტრაციო სამწყობრო ნაწილის
უფროსი **ნადირაძე.**

25 ნოემბერი, 1922 წ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲪᲘᲠᲙᲣᲚᲘᲐᲠᲣᲚᲐᲓ.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲔᲑᲡ.

ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲚᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

წინადადებას ვაძლევ ყველა ქალაქის და სამაზრო აღსასკომებს და წყლის მილიციის უფროსებს დაუყონებლივ მოახდინონ ყოველგვარი იმ იარაღის აღრიცხვა. რომელიც მათ და მაზრის მილიციის განკარგულებაში იმყოფება. შეიტანონ მათი სია განსაკუთრნებულ დავთარში და აღრიცხვის პირი ქვემოდ მოთავსებულ ფორმებით გადმოგზავნონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში მიმდინარე თვის 30-მდე.

.....აღმასკომის განკარგულებაში მყოფი იარაღის.

(ფ ო რ მ ა № 1.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულიარი

ქალაქის და მაზრების აღმასკომების კომუნალურ მეურნეობის განყოფილების გამგეებს.

შენობების დაკავების შესახებ.

ზოგიერთი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო და თანამდებობის პირები არღვევენ რა კანონსა და რევოლიუციონურ წესრიგს, განაგრძობენ თვითნებობით სხვა და სხვა ცენტრალურ უწყებათა საქმეებში ჩარევას და ნებადაურთველად იქერენ დაწესებულებათა შენობებს და ათასგვარ დაბრკოლებას უჩენენ მათ—მაგალითად: ბინიდან ასახლებენ და ზოგჯერ შეურაცყოფასაც აყენებენ დაწესებულებათა თანამშრომლებს. საჭიროა ბოლო მოეღოს ასეთ მაგალითებს, ვინაიდან, ფოსტა-ტელეგრაფის და სხვა დაწესებულებათა კუთვნილი შენობათა დაკავებით, ფინანსთა, ფოსტა-ტელეგრაფისა და სახალხო კომისარიატების თანამშრომელთა შევიწროებით, მათ ბინებში სხვების ჩასახლებით ადგილობრივი ორგანოები მოქმედებენ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საარსებო ინტერესების წინააღმდეგ.

ზემოხსენებულის გამო გაცნობებთ, რომ ხელისუფლების არცერთ ორგანოს არ აქვს უფლება დაიკავოს შენობა, ან ბინა მთლად გინდ ნაწილობრივ, რომელიმე დაწესებულების თანამშრომლების, თუ კერძო პირის მოსათავსებლათ,-თუ კი იგი (შენობა ან ბინა). ეკუთვნის სხვა უწყებას; ავრეთვე არ აქვს უფლება შეეხოს ცენტრალურ უწყების თანამშრომელების საცხოვრებლათ და სამსახურის მოვალეობათა შესასრულებლათ მიჩენილ ბინებს, სათანადო უწყებების ცენტრალური დაწესებულების ნებადაურთველად.

წინადადებას ვაძლევ ყველას, ვისაც ეს შეეხება, დაუყონებლივ დასცალოს უკანონოდ დაკავებული ბინები დაწესებულებათა თუ თანამშრომელთა, და უკლებლივ მთელის ინვენტარით დაბრუნოს კუთვნილებისამებრ.

მაგრამ, არის შემთხვევები, როდესაც ხაზინის, ფოსტა-ტელეგრაფის და სხვა ადგილობრივი დაწესებულებანი, გადაჭარბებით სარგებლობენ მათდამი მინიჭებულ უფლებებით შენობების და ბინების საკითხში და კერძო მფლობელთა სახლებიდან ასახლებენ სახლის პატრონებს, დაწესებულებათა თანამშრომლების მოსათავსებლათ.

ზემოხსენებულის გამო გავალებთ სისწორით დაიცვათ შემდეგი: თუ შენობა, რომელშიაც მოთავსებულია ხაზინის, ფოსტა-ტელეგრაფის და სხვა უწყების ადგილობრივი დაწესებულება, ეკუთვნის კერძო პირს და ცხოვრობს იქ პატრონი, ე. ი. შენობის ერთი ნაწილი თუ დაჭერილი აქვს რომელიმე დაწესებულებას, მეორე ნაწილი, რომელიც მეპატრონეს უჭირავს, უნდა დარჩეს უკანასკნელის განკარგულებაში.

თუ ხაზინას, ფოსტა-ტელეგრაფს და სხვა უწყებას საკუთარი შენობა აქვს, ან უჭირავს მთელი შენობა სახლის პატრონთან შეთანხმებით, ქირის ქვეშ, ასეთ შენობაში, სახლის პატრონი ან კერძო პირი არ უნდა ცხოვრობდეს და შენობა უნდა დარჩეს ხაზინის, ფოსტა-ტელეგრაფის და სხვა დაწესებულების სრულ განკარგულებაში.

ამ ცირკულიარის შესრულებისათვის საჭირო ზომების მღება ევალება ადგილობრივ კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას და სადაც ასეთები არ არის ადგილობრივ აღმასკომებს.

ამ ცირკულიარით უქმდება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოქვეყნებული ბრძანება მე 14-№-ით.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის
მოადგილე **ვ. ტალახაძე.**

საქმეთა მმართველის მოადგილე **ცინცაძე.**

კომუნალურ განყ. გამგე **ნანეიშვილი.**

ცირკულიარულად.

ყველა მაზრა-ქალაქების და ნავთსადგურების მილიციის უფროსებს.

ახალი მაზრისა და ქალაქების აღმასკომებს.

წყალ-დადობის დროს გატაცებულ ხე-ტყის მასალის შესახებ.

თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარის განკარგულებისა და დამატებით ა. წ. 6 ნოემბერის № 21/73 ცირკულიარისა წინადადებას გაძლევთ მიიღოთ მკაცრი ზომები, რათა წყალდიდობის დროს წაღებული ხე ტყის მასალა, რომელიც გატაცებულ იქნა ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ, იყოს სასწრაფოთ ჩამორთმეული და გადაეცეს სატყეო კომიტეტს. ამით გამოწვეული ყველა ხარჯები უნდა გადაიხადოს სატყეო კომიტეტმა.

შედეგი თქვენ მიერ მიღებულ ზომებისა მომახსენეთ.

შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარის მოადგილე **ტალახაძე.**

სამილ. განყ. უფროსი **ვ. ქავთარაძე.**

სადმ. სამწ. ნაწ. უფროსი **ნადირაძე.**

ᲪᲘᲠᲙᲣᲚᲘᲐᲠᲣᲚᲐᲓ.

მაზრა-ქალაქის აღმასკომების და მილიციის უფროსებს.

დეპეშის შედგენისა და გაგზავნის წესის შესახებ.

რესპუბლიკის მილიციისადმი გ/წ. № 20 ბრძანებაში, უკვე იყო ნაჩვენები ის წესი, რომელიც დაცულ უნდა ყოფილიყო დეპეშების შედგენისა და გაგზავნის დროს; მიუხედავათ ამისა როგორც მაზრა-ქალაქის მილიციის უფროსებისაგან მიღებული დეპეშებიდან სჩანს, ბევრი მათგანი არ იცავს დეპეშის შედგენისათვის არსებულ წესს. თუ წინეთ, როდესაც სახელმწიფო დაწესებულებებს უფლება ჰქონდათ დეპეშების უფასოდ გზავნისა, სავალდებულო იყო ერთგვარი წესის დაცვა დეპეშის გაგზავნაში, ახლა, როცა დეპეშის უფასოდ გაგზავნა აკრძალულია და დეპეშების გაგზავნა აუარებელ ხარჯს მოითხოვს, კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ამ წესის დაცვას.

ამიერიდან ყოველგვარი გაუგებრობის და შეცდომის თავიდან ასაცილებლად, წინადადება გეძლევათ დეპეშების შედგენისა და გაგზავნის დროს დაიცვათ შემდეგი წესი და ფორმა;

1) დეპეშები იგზავნება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაგვიანება დაუშვებულია სამსახურის თვალსაზრისით,ან როდესაც ამას მოითხოვს უმაღლესი ორგანო, საერთოდ, დეპეშების გაგზავნის შემთხვევები ძლიერ უნდა შემოკლდეს;

2) დეპეშა იწერება მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ და ადვილად გასაგებად და არას დროს არ უნდა იქნეს დეპეშაში დაშვებული მრავალი სიტყვაობა;

3) დეპეშა ეგზავნება დაწესებულებას, ან მის უფროსს, ან რომელიმე თანამდებობის პირს, თანამდებობის (და არა გვარის) აღნიშვნით, რაც უნდა გამოხატულ იქმნას ქარაღმით (შემოკლებულად);

4) ერთი და იგივე შინაარსის დეპეშის გაგზავნა უწყების უფროსთან და მასთან ერთად ამ უწყების რომელიმე განყოფილების უფროსთან დაუშვებელია; მაგალითად: თუ დეპეშა ეგზავნება შ. ს. ს. კომისარს, სრულიად საჭირო არ არის ასეთივე დეპეშის გაგზავნა საქმეთა მმართველთან, პოლიტკომთან ან განყოფილების უფროსთან;

5) დეპეშის ტექსტის (შინაარსის) ბოლოს იწერება ნომერი ციფრით (სიტყვა „ნუმერი“ ან „№“ არ იწერება); თუ დეპეშა საპასუხოა, ტექსტიმ (შინაარსის) წინ უნდა დაისვას ციფრით ამ მომართვის ნომერი, რომლის პასუხად დეპეშა გზავნება.

6) ფულის, ან სხვა რაიმე საგნის რაოდენობა უნდა იწერებოდეს სიტყვებით (ტექსტით) და არა ციფრებით, ვინაიდან ციფრებში ადვილი მოსალოდნელია შეცდომის დაშვება;

7) დასასვენებელი ნიშნები იხმარება მხოლოდ მაშინ, როცა ეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს და იწერება ტექსტით მაგალითად: წერტილი, მძიმე, ორი წერტილი და სხვა და №

დეპეშას ხელს აწერს მხოლოდ ის პირი, რომელიც მას გზავნის; აწერს მხოლოდ გვარს, ხელის მოწერაში თანამდებობის აღნიშვნა საჭირო არ არის, ვინაიდგან კომისარიატში გვაქვს როგორც მილიციის, ისე აღმასკომების პასუხისმგებელ თანამშრომელთა სია.

დეპეშის ნიმუში: ახალსენაკი
მაზრის მილუფროსს

გვაცნობეთ დეპეშით რამდენი ცხენი უნდა შეიძინოთ მილიციისათვის რა თანხა დაგვჭირდება მათს შესაძენათ 1150 (გვარი)

პასუხი:

ტფილისი
შინკომისარიატს

1150 ათი ცხენი დაგვიჯდება ასი მილიონი მანეთი 800 (გვარი)

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის
მოადგილე **ტალახაძე**.

საქმეთა-მმართველი **დ. ჩიქოვანი**.

სამილიციო განყ. უფროსი **გ. ქავთარაძე**.

23 დეკემბ. 1922 გ.

ᲪᲘᲠᲙᲣᲚᲘᲐᲠᲣᲚᲐᲓ.

ყველა მაზრის აღმასკომის თავჯდომარეთ.

ტელეფონის უფასოდ სარგებლობის შესახებ.

დამატებით ჩვენი მიმდინარე წლის 9 ნოემბრის № 6175 თარიღით ცირკულიარული განკარგულებისა კომისარიატი გატყობინებთ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც აღმასკომს, ისე მილიციასაც უფლება აქვთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, უფასოთ ისარგებლონ მარტო ტელეფონით.

შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარის მოადგ. **ტალახაძე.**

საქმეთა მმართველის
მოადგ. ა. **ცინცაძე.**

საერთო განყ. გამგე **ჩიქოვანი.**

24 ნოემბ. 1922 წ.

ცირკულიარულად.

ყველა მაზრის, ქალაქებისა და ავტონომიურ ერთეულთა აღმასკომებს.

ადმინისტრატიული წესით სასჯელის დადების შესახებ.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით გარკვეულად განსაზღვრულია თუ რა შემთხვევებში, რა სახით და ვის შეუძლია ადმინისტრატიულ სასჯელის დადება, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით № 16 და იმავე მთავრობის დადგენილებით № 30 ადმინისტრატიულ სასჯელის დადება შეუძლია სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს, ხოლო არა სამაზრო ქალაქებში საქალაქო აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმს, ქალაქ თბილისში ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის სამმართველოს განყოფილების გამგეს ან გამგის თანამდებობის აღმასრულებელს, ქალ. თბილისის მილიციის უფროსს, (მხოლოდ იმ, სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის, რომელიც მის მიერ არის გამოცემული და აღმ. კომ. მიერ დამტკიცებული) ადმინისტრატიული წესით სასჯელის დადება შეიძლება ადგილობრივ ხელისუფლების დადგენილებათა დარღვევისათვის და ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც საფრთხეს ქმნის მოქალაქეთა უშიშროებისათვის ან აშკარად შეურაცყოფს საზოგადოებრივ ზნეობას, უკეთუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს რაიმე განსაზღვრულ სისხლის სამართლის დანაშაულს. ადმინისტრატიული წესით შეიძლება. ა) თავისუფლების აღკვეთა 2 თვემდე, ბ) თავისუფლების აღუკვეთლად იძულებით სამუშაოზე დანიშვნა 2 თვემდე და გ) ჯარიმა არა უმეტეს 20 მილიონისა ან შეიცვლება იძულებითი მუშაობით 2 თვემდე იმ შემთხვევაში, უკეთუ სასჯელ-დადებული ამ ჯარიმას არ გადაიხდის.

სრულიად განსაზღვრულია აგრეთვე საქ. რევკომის დეკრეტით № 5 თუ რომელ ორგანოებს აქვს მინიჭებული დეკრეტის ძალით დამნაშავეთა ქონების კონფისკაციისა და რიკვიზიციის უფლება. დეკრეტის № 5 ს მეოთხე და მეხუთე მუხლით რეკვიზიციის და კონფისკაციის უფლება ეძლევა საგანგებო კომისიის პრეზიდიუმს, რევტრიბუნალს, სახალხო სასამართლოს, რომლებიც მიმართვენ ამ ზომებს, როგორც სასჯელს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სასურსათო სახალხო კომისარს საერთო სახელმწიფო მოძმარაგების მიზნით.

მიუხედავად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცირკულიარული განმარტებისა კონფისკაცია-რეკვიზიციისა და ადმინისტრატიული წესით სასჯელის დადების შესახებ („მოამბე" № 11 ცირკულიარი 22 ივლისიდან 1921 წლ. „მოამბე" № 38 ცირკ. 26 ივლის. 1922 წლ. და ცირკ. 5 აგვ. 1922 წლ.) და იუსტიციის სახალხო კომის. ინსტრუქციისა 22 ივლისიდან 1921 წლ. რეკვიზიციის და კონფისკაციის შესახებ (მოამბე № 22, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები კიდევ განაგრძობენ ადმ ნისტრატიული წესით დამნაშავეთა ქონების რეკვიზიციას და ადმინისტრატიული წესით სასჯელის დადებას იმ დანაშაულისათვის, რომელიც გარკვეულად სისხლის სამართლის ხასიათის საქმეს წარმოადგენს. იყო შემთხვევა აგრეთვე დამნაშავეთა კანონს გარეშე გამოცხადებისა.

მოგაგონებთ რა განმეორებით მთავრობის დადგენილებებს, გაფრთხილებთ, რომ აღმასკომთა ასეთი საქციელი ჩაითვლება თანამდებობრივ ბოროტ-მოქმედებათ ძალა-უფლების გადაჭარბებათ, და თანახმად დადგენილებისა № 16, ამ საქმეში დამნაშავე პირი პასუხის გებაში იქნება მიცემული და დაისჯება ს. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კანონის ძალით.

შინ. საქმ. სახ. კომისარი ა. გეგეჭკორი.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

საინსტრუქტორო-საინფორმაციო
განყოფილების გამგე გ. ანდრიაძე.

27 ნოემბერი, 1922 წ.

ცირკულიარულად.

ყველა სამაზრო და ქალ. ტფილისის, ფოთის და ბათომის აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეებს.

სახ. კომისართა საბჭოს დეკრეტის № 11 მე 6-ე §-ის სისწორით შესრულების შესახებ.

ა. წ. ივლისის 11-ს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებულ იქმნა დეკრეტი № 11 საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ქვეშევრდომობის მიღების შესახებ, თანახმად ამ დეკრეტის მე-6 §-ს აღმასკომს ევალება საქართველოს ქვეშევრდომობის მისაღებათ მოქალაქის მიერ აღძრულ შუამდგომლობის დაკმაყოფილების დადგენილების ასლი გადმოეგზავნოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

მაგრამ აღმასკომები არ ასრულებენ ამ დეკრეტის მოთხოვნილებებს და თავის დადგენილებებს ქვეშევრდომობის მიღების შესახებ არ აგზავნიან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, რითაც საშუალებას უსპობენ ამ უკანასკნელს განახორციელოს დეკრეტით მასზე დაკისრებული კონტროლი აღმასკომის ასეთ დადგენილებებზე.

ამიტომ, ამასთანავე გიგზავნით რა № 11 დეკრეტის ასლს გევალებათ სავსებით დაიცვათ ზემოთ აღნიშნული დეკრეტი.

დამატება: დეკრეტის ასლი.

შ. ს. ს. კომისარი ა. გეგეჭკორი.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

საერთო განყ. გამგეა. ჩიქოვანი.

21 დეკემბ. 1922 წ.

ცირკულიარულად.

მაზრა და ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარეებს და მილიციის უფროსებს.

ცხენების ბეგარაზე გაყვანის შესახებ.

ზოგიერთი მაზრიდან, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მოსდის ცნობები იმის შესახებ, რომ ადგილობრივი ადმინისტრატიული ორგანოები და ორგანიზაციები, როგორც მაგალითად, პარტკომები, პოლიტ-ბიურო და ინფორ-პუნქტები, მოითხოვენ მილიციისაგან, რათა მიიღოს ზომები, ... მოუნახონ, და მოუყვანონ მათ სასწრაფოდ, ... ქვეშ ცხენები, რომელთა რიცხვი ხანდისხან 10—30-მდე ადის ხოლმე. ასეთი დავალება მილიციისადმი არ არის კანონიერი და არც შეიძლება სამსახურის თვალსაზრისით ჩაითვალოს მიზან შეწონილად.

მილიციას ევალება გაუწიოს დახმარება დაწესებულებათ და თანამდებობის პირებს ცხენების შოვნაში მხოლოდ მაშინ, როცა ცხენების გაწვევა ხდება ტვირთ ზიდვის ბეგარის წესით, რაც გათვალისწინებულია არსებულ დეკრეტებში და დადგენილებებში (იხ. დეკ. 90 დამატებად „მოამბე" № 28; დად. № 137 „მოამბე" № 29; სახ. კომ. საბ. დად. № 25 „მოამბე" № 35; შრ. სახ, კომ. ცირკ. „მოამბე" 39, გვ. 6; შინ. საქ. სახ. კომ. ბრ. „მოამბე" 41 გვ.7). დანარჩენ შემთხვევაში და, მით უმეტეს, პატრონებთან შეთანხმებით ცხენების დაქირავებაში, მილიცია არ უნდა ერეოდეს. ვისაც ცხენები სჭირია და დაქირავება სურს, თვითონ უნდა მოაგვაროს ეს საქმე თავისი საშუალებით და არ უნდა მიმართოს მილიციას, რომელიც უამისოდაც დატვირთულია ათას გვარი ადმინისტრატიული დავალებით.

ზემოთაღნიშნული განმარტება გეძლევათ ცნობად და სახელმძღვანელოდ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის
მოადგილე **ტალახაძე.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

სამილიციო განყ. უფროსი **გ. ქავთარაძე.**

23 დეკემბ. 1922 წ.

ცირკულიარულად.

ყველა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეს.

გაზ. „მიწის მუშის" სავალდებულო გამოწერის შესახებ.

როგორც საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გვაცნობებს თავის მომართვით ა. წ. დეკემბრის 5-ს თარიღით 3735 ნომრით, მის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს სასოფლო გაზეთ „მიწის მუშის" რედაქციას, რათა ყოველ აღმასკომს დაევალოს ხსენებული გაზეთის გამოწერა.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ გაზეთი „მიწის მუშა“, უმთავრესად სოფლის მშრომელთა ინტერესების დამცველია და ითავსებს შათთვის საჭირო და სასარგებლო ცნობებს, ყველა სამაზრო და სათემო აღმასკომს გევალებათ გამოიწეროთ იგი გასავრცელებლად. ამისათვის საჭირო ხარჯები უნდა გაითვალისწინოთ აღმასკომების ხარჯთაღრიცხვაში.—შედეგი ეცნობოს კომისარიატს.

შინ. საქ. სახ. კომის. მოადგილე **ტალახაძე**.

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი**.

საერთო განყ. გამგის მაგიერ **შ. ლეკვიაშვილი**.

ცირკულიარულად

ყველა სამაზრო, საქალაქო და ავტონომიურ ერთეულთა აღმასკომებს.

უმაღლესი მთავრობის განკარგულებათა ადგილობრივ ასრულების შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში მიღებული ცნობებით ზოგიერთი მაზრისა და ქალაქის აღმასკომებს არ მოჰყავთ სისრულეში სახალხო კომისართა განკარგულებანი, სანამ სათანადო განკარგულებას არ მიიღებენ შ. ს. ს. კომისარიატიდან და არ უწევენ აგრეთვე დახმარებას სხვა უწყების მიერ მივლინებულ იმ თანამშრომლებს, რომელთაც თავის მანდატთან ერთად არა აქვთ შ. ს. ს. კომისარიატის მანდატიც.

ამის გამო საჭიროდ მიმაჩნია განვმარტო შემდეგი: თანახმად ს. ს. ს. ცენტრ. აღმ. კომ. დებულებისა სათემო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების ორგანიზაციის შესახებ—ცენტრალური დაწესებულებანი მიმართავენ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ თავიანთ განყოფილებას მხოლოდ აღმ. კომიტ. პრეზიდიუმის მეშვეობით (დებულება, მუხ. 27). სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი და მისი განყოფილებანი ვალდებულნი არიან დაუყონებლივ შეასრულონ განკარგულებანი სახალხო კომისრებისა საქვემდებარო განყოფილებათა შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაცემული განკარგულება პირდაპირ ეწინააღმდეგება სახალხო კომისართა საბჭ. და ცენტრ. აღმ. კომ. დადგენილებებს და როცა შეჩერება განკარგულებისა ხდება აღმასკომის პასუხისმგებლობით სასამართლოს წინაშე (თანახმად ს. ს. ს. რ. კონსტიტუციის მე-58 მუხლისა). ამგვარი კანონიერი განკარგულება სახალხო კომისართა თავის ხელქვეით განყოფილების მიმართ უნდა შესრულებულ იქნეს დაუყონებლივ აღმასკომის მიერ და შ. ს. ს. კომისარიატის დასტური ამ შემთხვევაში სრულებით საჭირო არ არის. სრულიად საკმაოა აგრეთვე იმ ცენტრალური დაწესებულების მანდატი, რომელიც გზავნის თანამშრომელს. ასეთი მანდატის მქონე პირის კანონიერი ადმინისტრატიული დახმარების აღმოჩენისათვის არ არის საჭირო შ. ს. ს. კომისარიატის არც სპეციალური განკარგულება და არც მისი მანდატი.

გაცნობებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ ყოველთვის დაუყონებლივ მოიყვანოთ სისრულეში სახალხო კომისართა განკარგულება და ყოველ საჭირო დროს კანონიერი დახმარება აღმოუჩინოთ მათ თანამშრომლებსაც, რომლებიც მხოლოდ თავიანთ უწყების მანდატით იგზავნებიან პროვინციაში სამსახურის საქმეების გამო.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის
მოადგილე **ტალახაძე**.

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი**.

საინფ. საინსტრ. განყ. გამგე **გ. ანდრიაძე**.

6 დეკემბერი, 1922 წ.

ცირკულიარულად.

ყველა სამაზრო და ქალაქის აღმასკომებს.

შენობების ქირის შესახებ.

ნაციონალიზაციისა და მუნიციპალიზაციის გარეშე დარჩენილი შენობების საბჭოთა დაწესებულებისათვის დაქირავება, ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, უნდა ხდებოდეს იმ ნორმის მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია ა. წ. 16 ივნისს სახ. კომ. საბ. მიერ გამოცემული დეკ. № 9 ში, კერძო მფლობელობის სახლებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ (იხ. „მოამბე“ № 36).

ცირკულიარი ესე გეგზავნებათ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის
მოადგილე **ტალახაძე**.

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი**.

კომ. განყ. გამგე **კ. ნანეიშვილი**.

9 დეკემბერი, 1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულიარულად.

უფელა სამაზრო და ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარეთ.

ნიადგრით დაზარალებულ პირთა შესახებ.

ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. 16 ნოემბრის № 36 დადგენილების თანახმად ნიადგრით დაზარალებულ პირთა შუამდგომლობის განხილვა გადასახადებიდან განთავისუფლების შესახებ დაევალა ადგილობრივ საგადასახადო კომისიებს.

გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს გავალებთ მოახდინოთ განკარგულება, რათა აღნიშნული კომისიები შეუდგნენ დაზარალებულ პირთა შუამდგომლობების განხილვას მათი ნივთიერი ზარალის გამორკვევას და ნაწილობრივ, ან სრულიად განთავისუფლებას გადასახადებიდან.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის
მოადგილე **ტალახაძე**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

კომ. განყ. გამგე **ნანეიშვილი.**

11 დეკემბერი, 1922 წ.

გრძანება № 93

ს. ს. ს. რესპუბლიკის მილიციისადმი.

შ. ს. ს. კომისრის ბრძანებით № 383 რესპუბლიკის მილიციის პოლიტ-სეკრეტარიატის უფროსი ამხ. **იოვიძე ისმაილი** განთავისუფლებულ იქმნა თანამდებობიდან საქ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის განკარგულებაში მივლინებით ამა წლის 27 ნოემბრიდან.

ვაცხადებ რა ამას რესპუბლიკის მილიციისადმი ცნობად, ვბრძანებ: ამიერიდან ყოველი მიმოწერა პოლიტ-სეკრეტარიატთან დამოკიდებული, იგზავნებოდეს ჩემს ე. ი. შ. ს. ს. კომისრის მოადგილის სახელზე.

შინაგან საქ. სახ. კომისარის
მოადგილე **ტალახაძე.**

საბილიციო განყ. უფროსი **ქავთარაძე.**

28 ნოემბერი 1922 წ.
ქ. თბილისი.

გრძანება № 406.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარისა

მადლობის გამოცხადება სვანეთის მილიციისადმი

ზემოსვანეთის მაზრის აღმასკომის შინაგან მმართველობის განყოფილების უფროსისაგან მიღებული ამა წლის 4 დეკემბრისა № 2575 მოხსენებიდან სჩანს შემდეგი:

მიმდინარე წლის 27 ოქტომბერს სვანეთის აღმასკომის განკარგულებით მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწე ბაუჩი ქალდიანი გაგზავნილ იყო შვიდი მილიციელების თანხლებით ჭვიბერის თემში, სადაც ამ ბოლო დროს თარეშობდა და არბევდა მშვიდობიან მცხოვრებლებს ყაჩაღთა ბრბო ყაჩაღ ჯაფარიძეს მეთაურობით. ორი კვირის დაუღალავ დევნის შემდეგ ყაჩაღი ჯაფარიძე მოამწყვდიეს ერთს ოჯახში; იგი არ დანებდა მილიციას, აუტეხა მას სროლა, ამიტომ ხანგრძლივი სროლის შემდეგ მოკლულ იქმნა მილიციელების მიერ. მეორე დღეს შეპყრობილ იქმნა მოკლულ ჯაფარიძეს ამხანაგი ყაჩაღი თავისავ ვიბლიანი.

სვანეთის აღმასკომი ხაზგასმით ადასტურებს რა თავის მოხსენებაში ამხ. ბაუჩი ქალდიანის და მის ხელმძღვანელობაში მყოფ მილიციელთა ენერგიულ და მიზანშეწონილ მოქმედებას ყაჩაღების მოკვლაში და შეპყრობაში, შუამდგომლობს მათი დაჯილდოების შესახებ.

ვიღებ რა მხედველობაში მილიციის ასეთი ენერგიულ და სანიმუშო მოქმედებას, რომლის მეოხებით მან გაიმარჯვა მშრომელ ხალხის მტრებზე და ბოლო მოუღო მათს თავისუფლად თარეშს და აგრეთვე იმასაც, რომ სვანეთის მილიცია წესიერად მოეწყო მხოლოდ ამ ბოლო ხანებში, რომ მას უხდება მუშაობა და ყაჩაღებთან ბრძოლა ადგილობრივ განსაკუთრებულს პირობებში. — მე სამსახურის სახით გულითად მადლობას ვუცხადებ მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწეს ბაუჩი ქალდიანს და მის ღირსეული თანამშრომლებს: ილამაზ ჯაფარიძეს, ისამ კვიციანს, დეევეთ გაურჩიანს, მაითუყ მილდიანს, ება ქალდიანს, ემზა ჯანჯველიანს და ჯანდარ ცინდელანს და ვბრძანებ მიეცეს მათ ჯილდოს სახით: ორს პირველს ე. ი. ბაუჩი ქალდიანს და ილამაზ ჯაფარიძეს ხუთ-ხუთი მილიონი და დანარჩენ ექვსს თითოს-ორი მილიონი მანეთი.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარი **გეგეჭკორი.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

სამილიციო განყ. უფროსი **გ. ქავთარაძე.**

დეკემბერი 1922 წ. ქალ. ტფილისი.

ეროვნული

ბრძანება № 99.

ს. ს. ს. რესპუბლიკის მილიციისადმი.

ვაცხადებ რა ამასთან რესპუბლიკის მილიციისადმი ცნობად შ. ს. ს. კომისარის ბრძანების № 406-ის ასლს ზემოსვანეთის მილიციის თანამშრომელთა ენერგიულ მუშაობისა და მათი დაჯილდოების შესახებ, თავის მხრივ გამოვსთქვამ სურვილს, რათა სვანეთის მილიციამ შემდეგშიაც გამოიჩინოს ასეთივე ენერგია და სიმარჯვე ყაჩაღებთან და შრომელი ხალხის მტრებთან ბრძოლაში.

შ. ს. ს. კომისრის მოადგილე **ტალახაძე.**

სამილიციო განყ. უფროსი **გ. ქავთარაძე.**

დადგენილება № 11.

ახალქალაქის ათ თემად დაყოფის შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა განიხილა რა შუამდგომლობა ახალქალაქის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტისა, რათა დამტკიცებულ იქმნას ახალი ნუსხა მაზრის ადმ. ერთეულებათ დაყოფის, ნაცვლად იმ ნუსხისა, რომელიც ამას წინად იქმნა მიღებული კომისარიატის მიერ და დამტკიცებული ა. წ. 22 მაისის დადგენილებით, და მიიღო რა მხედველობაში ა) რომ ახლად წარმოგზავნილი ნუსხა, როგორც ფინანსიური (სახელმწიფო ხაზინის ეხლანდელი ვითარების თვალსაზრისით), ისე ადმინისტრატიული-სამეურნეო მოსაზრებებით უფრო მისაღებია, ვიდრე ასეთივე ნუსხა 22 მაისს დამტკიცებული და ბ) რომ ადმინ. ცენტრები თემში შემავალ სოფლებთაგან დიდის მანძილით არ არის დაშორებული, დაადგინა:

1) ნუსხა ახალქალაქის მაზრის ათ თემად დაყოფისა დამტკიცდეს უცვლელათ და 2) პირი ამ დადგენილებისა გაეგზავნოს ყველა სახალხო კომისარიატს, ახალქალაქის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს და ამავე მაზრის მილიციის უფროსს, გადასახადთა სამმართველოს და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამილიციო, საერთო და საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილებებს.

შინაგან საქ. სახ. კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

ადმ. გად. საკითხთა შეს. კონსულტანტი **გრ. გველესიანი.**

2 დეკემბერი, 1922 წ.

დადგენილება № 12.

სოფ. რეხას გორის მაზრ. მიწერის შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, განიხილა რა შუამდგომლობა სოფ. რეხას (ტფილისის მაზ., წალკის რაიონი) მცხოვრებთა ამ სოფლის ტფილისის მაზრიდან გამოწერის და გორის მაზრაზე მიწერის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში: ა) რომ სოფელი რეხა განაპირა სოფელია ტფილისის მაზრისა და მის წინ გორის მაზრის საზღვრამდი არც ერთი სხვა სოფელი არ მდებარეობს; ბ) რომ მკვიდრნი სოფლისა (150 კომლი ქართველია) ეტნოგრაფიულად განსხვავებულ მასას წარმოადგენენ რაიონის მოსახლეობაში, რომლის უმრავლესობა ბერძენთა ტომისაა; გ) რომ ამ მიზეზით სოფ. რეხას მცხოვრებნი უცხოელ ელემენტით გარშემორტყმული, მოკლებულნი არიან ყოველნაირ საშუალებას მიიღონ კულტურული განვითარება საშობლო ენაზე; დ) რომ ეკონომიური დამოკიდებულება ამ სოფელს მუდამ გორის მაზრასთან ჰქონდა; ე) რომ საზოგადოთ ამ სოფლის მკვიდრთ ყოველთვის უფრო მჭიდრო კავშირი გორის მაზრის ძოსახლეობასთან ჰქონდათ, ვიდრე წალკის მცხოვრებლებთან და ვ) რომ მაზრის ცენტრი ქ. ტფილისი მათზე, ს. რეხას მცხოვრებლებზე უფრო დაშორებულია, ვიდრე ასეთივე ცენტრი ქ. გორი, მიიღო რა ყველა ეს გარემოება მხედველობაში.

დაადგინა: I) სოფ. რეხას მცხოვრებთა შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქმნას-სოფ. რეხა გამორიცხულ იქმნას ტფილისის მაზრის ადმინისტრატიულ ფარგლებიდან და მიწერილი გორის მაზრაზე და 2) პირი ამ დადგენილებისა გაეგზავნოს: ყველა სახალხო კომისარიატებს, ტფილისის და გორის მაზრების აღმასრულებელ კომიტეტებს, ამავე მაზრების მილიციის უფროსებს გადასახადთა სამმართველოს, შინ. საქ. სახალხო კომისარიატის სამილიციო საინფ. საინსტ. და საერთო განყოფილებებს და რედაქცია „მოამბე"-ს.

ში. საქ. სახ. კომისარი **ა. გეგეჭკორი**

საქმეთა-მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

ადმ. გად. საკითხთა შესახებ კონსულტანტი **გველესიანი**

15 დეკემბ. 1922 წ.

დადგენილება

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა

ფაბრიკა-ქარხნებისა და სამთო-სამწერვალო წარმოებათა ტეტხლისაგან დაცვის შესახებ.

1. ფაბრიკა-ქარხნების და სამთო-სამრეწველო წარმოებათა მეპატრონეები და მოიჯარადრეები ვალდებულნი არიან, ცეცხლის გაჩენის თავიდან ასაცდენათ, შეასრულონ გარდა სათანადო კანონებისა და საევალდებულო დადგენილებათა, აგრეთვე ქვემო-აღნიშნული წესები.

I. ცეცხლის საწინააღმდეგო მეთვალყურეობა.

2. ყოველ წარმოებაში უნდა იყოს თანამდებობის პირი, რომელიც თვალყურს ადევნებს წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოების უშიშროებას ცეცხლის გაჩენის მხრივ და განაგებს ხანძარისაგან დაცვის საქმეს.

3. წინა მუხლში აღნიშნული თანამდებობის პირი თვალყურს უნდა ადევნებდეს:

ა) რომ დარაჯები სისწორით ასრულებდენ სადარაჯო სამსახურის ყველა წესებს;

ბ) რომ ცეცხლის საწინააღმდეგო იარაღები და მოწყობილებანი რიგიან მდგომარეობაში იმყოფებოდენ და ყოველთვის მზათ იყვნენ სამოქმედოთ.

გ) რომ წყალი საკმაოთ იყოს მომარაგებული ცეცხლის ჩასაქრობლათ.

დ) რომ სრულდებოდეს სიფრთხილისთვის საჭირო ზომები ცეცხლის ხმარების დროს.

ე) რომ დარაჯებისა და მუშების საკმაო რიცხვს კარგათ ჰქონდეს შესწავლილი ცეცხლის ქრობის საშუალებანი და წესები; და სხ.

4. იმ თანამდებობის პირის ვინაობა, რომელსაც დავალებული აქვს წარმოებაში ცეცხლისაგან დაცვის საქმე, წარმოების მეპატრონემ (ან მოიჯარადრემ) უნდა აცნობოს წერილობით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ ხანძარისაგან დაცვის ნაწილის, შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებას და ადგილობრივ ხანძარის საწინააღმდეგო ორგანიზაციას.

შენიშვნა: მსხვილ წარმოებაში, რომელშიდაც მუშების რაოდენობა 200-დე აღწევს, ან ამ რიცხვს აღემატება, ან საწარმოო ძალა არის არა ნაკლები 150 ცხენის ძალისა, ცეცხლისაგან დაცვის საქმის გამგე პირს არ შეუძლია დაიკავოს სხვა რაიმე თანამდებობა; დანარჩენ წარმოებებში კი შეიძლება რომ ასეთ პირებს სხვა თანამდებობაც ეჭიროს იმავე წარმოებაში.

5. ყოველ წარმოებაში შემოღებულ უნდა იყოს ცეცხლის მქრობ დარაჯების საკმაო რიცხვის მორიგეობა მთელი დღე-ღამის განმავლობაში. დარაჯების რიცხვი უნდა შეეფერებოდეს შენობათა რიცხვს, რომლებიც წარმოებას უჭირავს, მათ სიგრცეს, მუშების რაოდენობას, წარმოების ხასიათს და ცეცხლის მხრივ გაჩენის მოსალოდნელ საფრთხეს.

ცეცხლის მქრობი დარაჯები არ უნდა ინიშნებოდენ სხვა სამუშაოზე, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს მათ მოვალეობასთან, რომელიც ნაჩვენებია შემდეგ მუხლში.

6. ცეცხლის მქრობი დარაჯები მოვალენი არიან:

ა) შემოიარონ ხოლმე ხანგამოშვებით, წინდაწინავე შედგენილი ცხრილის თანახმად, წარმოების სადგომები და თვალყური ადევნონ, რომ სრულდებოდეს ცეცხლის გაჩენის საწინააღმდეგო ყველა ზომები და დაუყონებლივ გაასწორონ ყველა შემჩნეული უწესობა, ხოლო როდესაც ეს ვერ მოხერხდება მოახსენონ ამის შესახებ ცეცხლისაგან დაცვის გამგეს. და

ბ) ხანძარის ნიშნების გამოჩენის უმალვე გამოიწვიონ ცეცხლის მქრობი რაზმი და მიიღონ სხვა ზომები ცეცხლის ჩასაქრობათ.

შენიშვნა: წარმოების ხან-გამოშვებით დათვალიერებას დარაჯების მიერ ცეცხლის დაცვის საქმის გამგე შეამოწმებს საგანგებო წიგნებში აღნიშვნით საკანტროლო საათებით და სხვა საშუალებით.

II. ხახანძრო სიგნალიზაცია:

7. რათა ცეცხლის გაჩენის ამბავი სასწრაფოდ ეცნობოს ვისაც ჯერ არს და მალე გამოწვეული იქნეს საწინააღმდეგო დახმარება, მალე ყოველ წარმოებაში უნდა შემოღებული იქნეს ქვემო ნაჩვენები საცეცხლო სიგნალიზაციის ერთ ერთი საშუალება:

ა) ტემპერატურის ცვლილების წყალობით ავტომატიურათ მომქმედი სიგნალიზაცია, რომლის სათანადო აპარატები მოწყობილი უნდა იქნეს წარმოების იმ სადგომებში, რომელნიც ცეცხლის მხრით უფრო საშიში არიან;

ბ) ხელით სამოძრავო ელექტრონის შემტყობები შენობების შიგნით და გარეთ;

გ) სატელეფონო ქსელი, რომლის საშუალებებითაც შეიძლება შეტყობინება ცეცხლის გაჩენის, როგორც ადგილობრივ სადარაჯოსათვის, აგრეთვე მახლობელ ცეცხლის მქრობ ორგანიზაციისათვის;

დ) ხმოვანი სიგნალიზაცია საგანგაშო ზარების საშუალებით, რომელიც მოწყობილი უნდა იქნეს შესაფერის ადგილებზე, და ბუკებისა, სასტვენების და სხვა ხმოვანი იარაღების საშუალებით, რომელნიც ცეცხლის მქრობ დარიჯებს უნდა მიეცეს.

8. წინა მუხლის მიხედვით მოწყობილი საცეცხლო სიგნალიზაცია უნდა რიგიანათ დაცული იყოს და ხანგამოშვებით ისინჯებოდეს ცეცხლის დაცვის გამგის მიერ, საჭირო შემთხვევებში, სპეციალისტების მონაწილეობით.

9. ცნობები ცეცხლის ჩასაქრობათ დახმარების

ეროვნული

გამოსაწვევ საშუალებათა შესახებ გამოკრული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილებზე და წარმოების მუშები ამ საშუალებებს გაცნობილი უნდა იყვნენ.

III. ცეცხლის საწინააღმდეგო საშუალებების მოწყობა და მოვლა.

10. წარმოებათა სადგომებში, სადაც სწარმოებს მუშაობა ან საწყობია მოთავსებული, აუცილებლათ უნდა იყოს ცეცხლის-საწინააღმდეგო პირველი დახმარების საშუალებანი, როგორიც არის: ელვარე ფერით შემოღებული კასრები, რკინის კეტები (ძალაყინები), ცულები, თოკები, ქვიშიანი ყუთები ადვილათ ასანთებ სითხეთა ჩასაქროლი ქეჩები და საბნები ცეცხლმოკიდებული ტანსაცმელის და სითხეების ჩასაქრობათ, ჰიდროპულტები, ქიმიური ცეცხლის-მქრობლები საიმედო სისტემის და სხ.

11. წინა მუხლში აღნიშნული ხელსაწყობები უნდა დაწყობილი იყვნენ დაწესებულების სადგომებში, წარმოების ხასიათის მიხედვით ადვილათ ხელმისაწდომ ადგილებზე, ყოველთვის გამოსადეგარნი და მომზადებული დაუყონებლივი მოქმედებისათვის.

12. ხელით სახმარი ცეცხლის მქრობები უნდა ხანგამოშვებით იცდებოდენ და ეს გამოცდა საგანგებო წიგნში უნდა ინიშნებოდეს ყოველი გამოცდის შემდეგ ცეცხლის მქრობები უნდა იყვნენ მომართული და მზათ-ხმარებისათვის, თვითეული ცეცხლის-მქრობი ან უნდა იყოს სათანადო დარიგება, მათი ხმარების შესახებ.

13. კასრებისა და ჰიდროპულტების სარგებლობის უზრუნველსაყოფად ცეცხლის ჩაქრობის დროს ცეცხლისაგან დაცვის შენობებში უნდა იყოს წყალსადენის ბოჭკები, ხოლო უკეთუ წყალსადენი არ არსებობს, ან წყალი საკმაო ძალით არ აწვება სადენს (მ. 15), მაშინ უნდა მომზადებული იყოს წყლით სავსე ბოჭკები ან სხვა ასეთი ჭურჭელი.

IV. წყლის მომარაგება.

14. წყლის მომარაგება წარმოებაში ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ წყალი ყოველთვის საკმაო იყოს ცეცხლის ჩასაქრობათ.

15. თუ წარმოების სადგომში წყალსადენი არსებობს, ამ წყალსადენს ისეთი დაწევის ძალი უნდა ქონდეს, რომ წყლის ჩქერს შეეძლოს ზედა სართულში ჭერის მორწყვა. უჭერო შენობებში წყლის ჩქერი სახურავს უნდა სწვდებოდეს.

თუ ჩქერი სუსტია და საკმაო სიმაღლეს ვერ აწევს, ის უნდა მოწყობილი იყოს დამხმარე წყლის საქაჩავით, ან გამოყენებული იქნეს სხვა საშუალება, რომელიც გააძლიერებს წყალის დაწნევას აღნიშნულ სიმაღლამდე.

16. წარმოებათა წყალსადენს უნდა ქონდეს მოწყობილა შინაგანი და გარეგანი ბოჭკების საკმაო რიცხვი, ხოლო წყლის მილები უნდა იყვნენ დიამეტრით არა ნაკლები 2 დიუბისა.

17. გარეგანი სახანძრო ბოჭკები უნდა მოთავსებული იყვნენ არა უახლოეს 5 საჟენისა შენობის გარეგანი კედლიდან.

სახანძრო ბოჭკების მდგომარეობა უნდა აღნიშნულ იყოს შენობის კედლებზე თვალსაჩინო ნიშნებით, ან სხვა საშუალებით, და მათთან მისასვლელი ყოველთვის თავისუფალი უნდა იყოს.

18. ფაბრიკის ან ქარხნის თვითეული შენობა უნდა დაცული იყოს გარეგანი ბოჭკების ასეთი რიცხვით, რომ სახელურების საშუალებით, რომელთა სიგრძეც 20 საჟენს არ აღემატება, შეიძლებოდეს კედლებისა და ბინების ყოველ ადგილას მორწყვა.

19. თუ წარმოებაში სახანძრო ბოჭკები მიწის ქვეშ არიან მოწყობილი, იმათთვის წარმოებას უნდა ქონდეს სტენდერები თითეულ ბოჭკისათვის თითო, საერთოდ ხუთ ცალამდე მთელ წარმოებაში.

20. სახანძრო შინაგანი ბოჭკები უნდა იმყოფებოდენ ფაბრიკა ქარხნის ყოველ სართულში და მოწყობილი იყვნენ უმთავრესად გასავალთან, ისე, რომ თითეული სადგომის მორწყვა შეიძლებოდეს ყოველ ადგილას უმახლობელესი ბოჭკიდან 10 საჟენზე არა უგრძესი სახელურის საშუალებით.

21. თითეულ ბოჭთან თვალსაჩინო და ადვილი მისაწდომ ადგილზე მუღამ უნდა იმყოფებოდეს გასაშლელად მომზადებული სახანძრო სახელურები სიგრძით არა ნაკლები 10 საჟენისა; სახელურების ჭანჩები უეჭველად უნდა უდგებოდეს ერთმანეთს. ამას გარდა ყოველ ბოჭებთან უნდა იყოს ლულა ბუნუკით არა ნაკლებ დიუმისა დიამეტრით.

სახელურები, ლულები და სტენდერები უნდა რიგიანათ მოვლილი იყოს და წესიერათ ინახებოდეს.

22. წარმოებაში უნდა იყოს ხელსაწყობი, სახანძრო სახელურების საჩქაროთ შემაერთებელი ცეცხლისაგან დაცვის იმ ორგანიზაციის სახელურებთან, რომელიც ამ რაიონს იცავს.

23. თუ წყალსადენი არ არის ან შეუძლებელია მისი მოწყობა ზემომოყვანილ მოთხოვნათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანახმად, დაწესებულებაში უნდა მოეწყოს ხელოვნური აუზები, გუბეები, ჭები და სხ. ან უნდა გაყვანილი იყვეს გზები მდინარეებთან, ტბებთან და სხვა ასეთ ადგილებთან, თუ ასეთი ადგილები მოიპოვებიან წარმოების რაიონში, იმ ანგარიშით, რომ აღნიშნული წყაროები უზრუნველ-ყოფდენ ცეცხლისაგან დაცვის საქმეს საკმაო წყლით.

აღნიშნული აუზების სათანადო გამოყენებისათვის წარმოებათა შენობებში უნდა იყოს საკმაო ძალის საქაჩავები და აგრეთვე წყლის მიმღები და გადამსროლი სახელურების საკმაო რიცხვი.

V. ზომები ცეცხლის გაჩენის წინააღმდეგ:

24. წარმოებათა შენობების გათბობის დროს ღუმელების საშუალებით-საჭიროა:

ა) რომ ღუმელები და საკვამლეები განცალკევებული იყვნენ შენობის ადგილათ ასანთები ნაწილებიდან და სხვა ასეთივე საგნებიდან;

ბ) რომ ღუმელებსა და საკვამლეებთან არ ინახებოდეს სათბობი მასალა, ბურბუშელა და წარმოების საწვავი ნითიერება;

გ) რომ თუ სახელოსნოებში სივიწროვეა, საცეცხლურები დაცული იყვნენ ცეცხლის მძლეკედლებით;

დ) რომ საცეცხლურების წინ ხის იატაკზე დაკრული იყოს ლითონის ფურცელი;

ე) თუ შენობებში მოწყობილია საკვამლე მილყოლები, ასეთები გაკეთებული უნდა იყოს საიმედოთ.

ვ) ფაბრიკა ქარხნების შენობებში და სახელოსნოებში დროებით გათბობის მოწყობა ხელითასაღები ღუმელებით დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ეს საშიშო არ იქნება ცეცხლის გაჩენის მხრით.

ზ) აგურის საკვამლე მილები ჩარდახზე გათეთრებული უნდა იყოს. საკვმლეების და ალიბეჭეების გაწმენდა უნდა ხდებოდეს ორჯერ მაინც თვეში.

ორთქლით გათბობის დროს საკვამლეები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ისინი არ ეხებოდენ ხის ნაწილებს ან სხვა ცეცხლის მოსაკიდებელ საგნით.

25. როდესაც წარმოებაში მოწყობილია განათება გაზის საშუალებით, საჭიროა, რომ არ იყოს დაუხურავი ცეცხლი და რომ შენობის ხის ნაწილები, რომელიც სანათურების ახლო არიან მოთავსებული, უზრუნველყოფილი იყვნენ გახურებისაგან. როდესაც წარმოებაში მოწყობილია ცენტრალური სისტემის განათება აცეტილენის, ბენზინის, ნავთის და სხვა გაზების საშუალებით. გაზის გამომმუშავებელი და მომწოდებელი აპარატები უნდა იმყოფებოდენ ცალკე სადგომებში, რომელშიც მუდმივი ვენტელიაცია ხდება და რომელთაც საკუთარი გამოსასვლელი აქვთ გარეთ.

განათება ნავთით, პირონავთით და სხვა მსგავსი პროდუქტების საშუალებით დასაშვებია მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც არ არის ელექტრონის ქსელი და არც საერთო მოსახმარი საგაზო მილები.

ამასთანავე რეზერვუარები უნდა იყოს ლითონისა, სანათურები მტკიცეთ უნდა იყოს მიმაგრებული კედელსა და ჭერზე და მათ ახლო მიებარე ხის ნაწილები უზრუნველყოფილი უნდა იყვენ გახურებისაგან.

სანათურების მოვლა მოზარდეების ან საზოგადო არა საიმედო პირების მიერ და აგრეთვე ანთებული სანათურების გადატან-გადმოტანა სადგომებში აკრძალულია.

სანათებით განათების მოწყობა შეიძლება მხოლოდ მილებიან ფარნებში.

26. ვენტელიაცია წარმოებათა სადგომებში ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ცეცხლის გაჩენის დროს სავენტელიაციო მილების გზით, ცეცხლი ან კვამლი არ გადავიდეს სადგურის ერთი ნაწილიდან მეორეში.

27. ასავალ ჩასავალ გვირაბებს და სხვა ამისთანეებს უნდა გაკეთებულ ქონდეს ისეთი მოწყობილობა, რომელიც ცეცხლის გაჩენის დროს ერთ რომელიმე სართულში დააბრკოლებს ცეცხლის გავრცელებას სხვა სართულებზე.

28. საშრობებს, რომელნიც ფაბრიკა-ქარხნების შენობებისა, სახელოსნოებისა ანუ საწყობების შიგნით იმყოფებიან, კედლები და ჭერები უნდა ჰქონდეს გაკეთებული ცეცხლის მძლე მასალისაგან. ცეცხლით შრომის დროს საცეცხლური უნდა მოწყობილი იყვეს ცალკე სადგომში, საშრობის გარეშე.

29. მჩვრები, ქალალდის ნაგლეჯები, ჩულები, და სხ., რომლითაც მანქანები იწმინდება, უნდა ინახებოდეს თავსახურავიან ლითონის ყუთებში. ნახერხი, ხის ნაჭრები, ბურბუშელა და სხ. უნდა ინახებოდეს ცეცხლის გაჩენის მხრივ უშიშარ ადგილზე.

30. აკრძალულია წარმოების კიბეების ქვეშ და ჩარდახზე რაიმე საგნების და მასალებისს შენახვა; აგრეთვე აკრძალულია ჩარდახზე მუშებიათვის ბინების მოწყობა.

31. თამბაქოს მოწევა ისეთ შენობებში, სადაც

აუცილებელი არ არის მისი აკრძალვა, დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, რომ მიღებული იქნება ზომები ცეცხლის გაჩენის საფრთხის წინააღმდეგ (როგორც მაგალითად პაპიროსისა და ასანთის ნამწვავების ჩასაყრელი ყუთის დადგმა და სხვა).

VI. ხანძრის საწინააღმდეგო ზომები საბარგულების მოძრაობის უზრუნველსაყოფად.

32. წარმოებაში მისასვლელი და იქიდან გასასვლელი გზები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ უზრუნველყოფილი იყოს სახანძრო საბარგულების თავისუფალი მოძრაობა. თუ წარმოების საზღვრებში გაკეთებული იქნება რკინის გზა მასზედ უნდა მოწყობილ იქნეს გადასასვლელი სახანძრო.

33. ეზოები, გასასვლელები და ადგილები ცალკე შენობებს შორის არ უნდა იყოს მოცული სხვა და სხვა საგნებით ან მასალით.

შეშის ან ხვა საჭირო საგნების საწყობები ისე უნდა იყოს მოთავსებული, რომ საწყობებსა და სხვა შენობების შორის დარჩენილი იყოს გასავლელი გზა სიგანით არა ნაკლები 4 საჟენისა.

VII. ცეცხლის მქრობი რაზმები და გუნდები.

34. დარაჯების და მუშების საკმაო რიცხვი უნდა იცნობდენ ცეცხლის ქრობის საშუალებებს და წესებს. მათი შესაფერი მომზადება ხანგამოშვებით უნდა შეამოწმოს ხოლმე ცეცხლისაგან დაცვის საქმის გამგემ, ხოლო სახანძრო ინსპექცია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა ასტეხს ხოლმე მოულოდნელ განგაშს ზემოაღნიშნულ პირთა მომზადების შესამოწმებლათ ცეცხლის ქრობის საქმეში.

35. სახანძრო ინვენტარის შესანახათ უნდა მიჩენილი იქნეს მოხსენებულ ადგილას მდებარე და ადვილათ ხელმისაწვდომი, სადაც იქნება შესაფერი მოწყობილება სახანძრო სახელსურების მოვლისათვის და სახანძრო საბარგულის სწრაფად გამოყენებისათვის.

36. თუ შ. ს. ს. კომისარიატის კომუნალურ განყოფილებასთან არსებული ცეცხლისაგან დაცვის ნაწილის დადგენილებით საჭიროთ ცნობილი იქნება წარმოებაში საკუთარი ცეცხლის მქრობი რაზმის დაარსება, ასეთი რაზმი უნდა დაარსდეს სათანადო შემადგენლობით და საჭირო ინვენტარებით და ხელსაწყოებით.

აღნიშნულ რაზმს უნდა ასწავლოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს შ. ს. ს. ვ. ცეცხლისაგან დაცვის ნაწილის ჭიერ დანიშნულმა პირმა.

37. თითოეულ წარმოებაში უნდა შემოღებულ იქნეს წიგნი, სადაც უნდა ინიშნებოდეს ცეცხლისაგან დაცვის ინსპექციის დათვალიერება, შენიშვნები და მოთხოვნილებანი, ცნობები ხარძარის შესახებ, ცეცხლის საწინააღმდეგო მანქანების და სხვა მოწყობილობის პერიოდულად გასინჯვის და სხ. ამ წიგნის წარმოება ევალება ამ დადგენილების მეორე მუხლში აღნიშნულ პირს.

38. ამ დადგენილებაში აღნიშნულ ზომების განხორციელებას სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოო დაწესებულებანი უნდა შეეგდგენენ დაუყონებლივ დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ.

39. თუ ამ დადგენილებაში გათვალისწინებულ სავალდებულო წესების განხორციელებას შეუძლია გამოიწვიოს წარმოების შეჩერება ან სხვა სიძნელე, საწარმოო დაწესებულებათა მეპატრონეებს და მოიჯარადრეებს ნება ეძლევათ აღძრან შინაგან იაქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებასთან არსებული ცეცხლისაგან დაცვის ნაწილის წინაშე შუამდგომლობა, რათა ამა თუ იმ წარმოებისათვის ნება დართული იქნეს რაიმე გამონაკლისის დაშვება,, ან გადადებული იქნეს სხვა დროისათვის ამა თუ იმ უხერხული ზომის განხორციელება.

40. ყველა ახლად გახსნილი ფაბრიკა, მათ გახსნამდე უნდა დავთალიერებული იყვეს საგანგებოთ დანიშნული საუწყებათაშორისო კომისიის მიერ, ცეცხლისაგან დაცვის წარმომადგენელის აუცილებელი მონაწილეობით, და მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ეს კომისია მოიწონებს წარმოებაში შემოღებულ ცეცხლის საწინააღმდეგო ზომებს, ფაბრიკასა და ქარხნებს შეუძლიათ მუშაობის დაწყება.

41. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის
მოადგილე **ტალახაძე**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი**
კომუნალურ განყოფილების გამგე **ნანეიშვილი**

ცეცხლისაგან დაცვის ინსპექტორის
მოადგილე **ი. მაახსი.**

9 დეკემბერი, 1922 წ.
ქ. ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება.

პოლონეთის და ლატვიის ლტოლვილთა რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ.

§ 1.

გაგრძელებულ იქნეს ვადა პოლონეთის და ლატვიის იმ ლტოლვილთა რეგისტრაციისა, რომლებმაც კანონიერი მიზეზების გამო ვერ მოასწრეს აღრიცხულიყვნენ ადგილობრივ საევაკუაციო ორგანოებში, სამშობლოში დასაბრუნებლად.

§ 2.

კანონიერ მიზეზად ითვლება: რეპატრიანტის სერიოზული ავადმყოფობა, სიკვდილი და დაბადება აღსარიცხი პირის ოჯახის წევრებისა, დემობილიზაცია უკანასკნელი ხანის განმავლობაში, მიღება სარეგისტრაციო პირის მიერ სამშობლოდან დოკუმენტის, რომელიც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ იგი ლტოლვილია და სხვ.

§ 3.

ს. ს. ს. რ. და აფხაზეთის ს. ს. რ. ფარგლებში რეგისტრაციის ვადა გაგრძელებულ იქნეს 1922 წლ. 1 დეკემბრამდე. ის პირი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში, არ განაცხადებს სამშობლოში დაბრუნების სურვილს კარგავს უფლებას შემდეგში სახელმწიფო ხარჯით გამგზავრებისას

§ 4.

ამ ბრძანებით უქმდება ა. წ. 1 სექტემბრის გამოცემული ბრძანება № 44 შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა (იხ. „მოამბე“ № 40).

შინაგან საქ. სახ. კომ. მოადგილე **ტალახაძე**

საქმეთა მმართველი **ჩიქოვანი.**

საქართვ. ცენტროევაკის გამგე **კაკაბაძე.**

20 ნოემბერი, 1922 წ.
ქალაქი—ტფილისი.

ინსტრუქცია.

რესპუბლიკის მუშურ-გლეხურ მილიციის პიროვნულ შემადგენლობის შემომწმებელ გამწმენდელ კომისიის მოქმედების შესახებ.

1. შემოწმების და გაწმენდის საწარმოებლად შინ. საქ. სახ. კომისარიატის პოლიტ-სეკრეტარიატთან ეწყობა ცენტრალური კომისია 3 პირის შემადგენლობით: საქართველოს კომუნისტური პარტიის, სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასკომის და რესპუბლიკის მილიციის პოლიტ სეკრეტარიატის წარმომადგენლებისაგან.

შენიშვნა: კომისიის წევრნი თავისუფლდებიან ყოველგვარ სხვა სამუშაოსაგან განწმენდის დასრულებამდე.

2. განწმენდის ჩასატარებლად მაზრებში, ქალაქებში და თბილისის რაიონებში კომისია სდგება სამი კაცისაგან, ადგილობრივ პარტკომის, აღმასკომის პრეზიდიუმის წევრებისაგან და პოლიტ-სეკრეტარიატის წარმომადგენლებისაგან. თავმჯდომარეობს კომისიაში პარტკომის პრეზიდიუმის წევრი.

3. ცენტრალურ კომისიას ენიჭება უფლება: იქ, სადაც მისი შეხედულებით, არ არის საჭირო კომისიის შედგენა, დანიშნოს რწმუნებული, რომელსაც თავის გადაწყვეტილება არ გამოაქვს, მაგრამ ყველა მის მიერ შეკრებილ მასალებს გადასცემს ცენტრალურ კომისიას დასკვნისათვის და საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად.

4. ცენტრალური კომისია სარგებლობს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სეკრეტარიატის აპარატით.

5. ყველა დაწესებულებები და მოქალაქენი ვალდებულნი არიან წარუდგინონ გამწმენდელ კომისიას ყველა ის მასალები, რომელიც ჩირქსა სცხებს მილიციას.

6. გაწმენდა სწარმოებს მილიციის თანამშრომლების საჯარო კრებაზე გარეშე პირთა თანდასწრებით.

7. გაწმენდის გატარების დროს დაუყოვნებლივ განიდევნონ მილიციიდან: ა) ყველა საეჭვო და არა საიმედო ელემენტები; ბ) ლოთები, რომელნიც თავის მოქმედებით ჩირქსა სცხებენ მილიციას და სცემენ მის ავტორიტეტს; ვ) რომელნიც ბოროტად იყენებენ თავის ძალა უფლებას ან თანამდებობას; გ) ყველა ის პირები, რომელთაც არა აქვთ დებულების ძალით უფლება იმსახურონ მილიციაში (დეკრეტი № 89 § 6) და აგრეთვე ის პირნი, რომელთაც არა აქვთ როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლებანი, მაგალითად: ა) მოქალაქენი, რომელნიც სარგებლობენ დაქირავებული შრომით, ის პირნი რომელნიც სცხოვრობენ უძრავ და მოძრავ ქონების შემოსავლით და კაპიტალის პროცენტების სარგებელით, გ) კერძო მოვაჭრენი, სავაჭრო და საკომერციო დელალები (მაშვალები); დ) პოლიციის ჟანდარმერიის და მენშვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კური მთავრობის საგანგებო რაზმის თანამშრომელნი, და ე) ის პირნი, რომელნიც არიან დასჯილნი ძალაში შესულ სისხლის სამართლის სასამართლოს განაჩენით.

8) მილიციის გაწმენდის მთელი მუშაობა უნდა სწარმოებდეს სასწრაფო წესით და დასრულდეს არა უგვიანეს ა | წ 15 დეკემბრისა.

9. ცენტრალურ სამაზრო და სარაიონო კომისიის დადგენილებათა გასაჩივრება შეიძლება: საჩივარი უნდა წარმოდგენილ იქნას არა უგვიანეს ერთი კვირისა, დღიდან განაჩენის გამოცხადებისა დაინტერესებულ პირებისადმი.

10. სამაზრო, საქალაქო და სარაიონო კომისიის დადგენილებათა გასაჩივრება უნდა წარმოადგინონ ცენტრალურ კომისიაში — იმავე კომისიის საშუალებით თავიანთი დასკვნით მომჩივრების შესახებ.

შინ. საქ. სახ. კომისრის მოადგილე: **ტალახაძე.**

რესპუბლიკის მილიციის პოლიტ სეკრეტარიატის უფროსი: **ოვიძე.**

საერთო დებულება რესპუბლიკის მილიციის პირადი შემადგენლობის გაწმენდის შესახებ.

ახალი ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში მილიციის მუშაობა მეტად რთული და სერიოზულია: ის მოვალეობანი, რომელნიც აქვს დაკისრებული მილიციას, მოითხოვს მილიციის მოსამსახურეთაგან, რომ ისინი იყვნენ პოლიტიკურად საიმედო, ზნეობრივად სპეტაკი, ფიზიელი, სამსახურის ზედმიწევნით მცნოდნენი და ნამდვილი გამომხატველი და განმახორციელებელი მუშურ გლეხურ ხელისუფლების მიზანთა და დამცველი რევოლიციონურ წესრიგის.

ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ფრიად საჭიროა რესპუბლიკის მილიციის პირადი შემადგენლობის გაწმენდა შეუსაბამო, უსარგებლო ელემენტებისაგან, რომელნიც წარმოადგენენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის მხოლოდ ზედმეტ ბარგს.

1. მილიციის რიგების გაწმენდა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიახწევს მიზანს, თუ იგი გატარდება არა მარტო მილიციის თანამშრომლის მშრალ, ფორმალური აღწერით, არამედ მილიციის თანამშრომლების ყოველმხრივ დახასიათებით გამწენდელ კომისიის მიერ, იმ თვალსაზრისით, რომელსაც უყენებს მას მუშურ გლეხური სოციალისტური რესპუბლიკა.

2. მილიციაში უნდა დარჩნენ ის პირნი, რომლებიც არიან სოციალისტურ სახელმწიფოს ერთგულნი, რომლებიც მას სწირავენ თავის კეთილდღეობას და სიცოცხლეს, სიტყის შეუბრუნებლად ასრულებენ უფროსების ბრძანებას სისწორით, გულწრფელად ემსახურებიან, როგორც პირად ცხოვრებაში, ისე მუშაობის დროსაც მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს.

3. შემოწმების დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს პირად ანგარიშებს შურის ძიების და სხვა ამგვარ უარყოფითი თვისებებს.

4. შემოწმება და გაწმენდა ტარდება ყველა მაზრა, ქალაქებში და ავტონომიურ ოლქებში გამწმენდელ კომისიების მიერ, რომლებიც ინიშნებიან ადგილობრივ ცალკე ქალაქებში, მაზრებში და ავტონომიურ ოლქებში.

ამ მიზნით მაზრა-ქალაქის პარტიული კომიტეტები და აღმასკომები ვალდებულნი არიან დანიშნონ წევრებად კომისიაში თავიანთი წარმომადგენლები; კომისიის წევრებად ინიშნებიან პარტიის წევრები, რომელნიც უკვე გატარებული არიან გაწმენდაში. პარტკომის წევრი ინიშნება კომისიის თავმჯდომარედ, კომისიაში შედის აგრეთვე მილიციის პოლიტ-სეკრეტარიატის უფროსი. ქ. თბილისში არსდება შემომწმებელ-გამწმენდი კომისია, რომელსა თავჯდომარეობენ სარაიონო პარტკომის პრეზიდიუმის წევრები, კომისიის წევრებად ინიშნებიან რაიონული მილიციის პოლიტიკური ხელმძღვანელები და მილიციის უფროსი.

5. ადგილთბრივ კომისიებს ევალება შეუდგენ მუშაობას არა უგვიანეს 15 ამა თვისა; 15 დეკემბრამდე მთელი მასალები გამწმენდელ კომისიების დადგენილებით უნდა იქნეს გადაგზავნილი ცენტრალულ კომისიაში, (რესპუბლიკის მილიციის პოლიტ სეკრეტარიატში).

6. შემმოწმებულ-გაწმენდელ კომისიამ თავის მუშაობაში იხელმძღვანელოს აქვე დართულ ინსტრუქციით.

7. გაწმენდას და შემოწმებას ექვემდებარებიან ის პარტიული ამხანაგებიც, რომლებმაც უკვე განვლეს პარტიული გაწმენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინანსთა საზ. კომ.

განცხადება

ს. ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა

ფინანსთა სახალხო კომისარი ამით აცხადებს, რომ 20 ოქტომბერს თანახმად № 75 დეკრეტის 13 და 17 მუხ. მისს მიერ დამტკიცებულია ახალი ნიხრი აკციზების გადიდებისა, სხვათა შორის, შაქარზე (რაფინადი და ფხვნილი) სახარინზე, ჩაიზე (საზღვარ გარეთული და ადგილობრივი), ყოველგვარ ღვინოზე სპირტზე, და მისს ნაწარმოებზე, კონიაკის სპირტზე და კონიაკზე. ამის გამო წინადადება ეძლევა ყველა საწყობების და სავაჭროების გამგეებს, სადაც მზადდება ინახება და იყიდება ეს საგნები (საწყობები და სავაჭროები სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების, რკ. გზის სადგურების, ნავთ სადგურების, სატრანსპორტო კანტორების, ბანკების, კოოპერატიულ საზოგადოებების და კერძო პირების) გარდა იმ ღვინის კონიაკის, და სპირტის ქარხნებისა, საწყობებისა და სავაჭროებისა, რომლებთაც აქვთ არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილებიდგან აღებული სათანადო პატენტები, წარუდგინონ 1 ნოემბრამდის ამის შესახებ განცხადება თბილისში არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილებას (სასამართლოს კ. № 50) და მაზრებში ადგილობრივ აქციზის ანსპექტორებს. განცხადებაში უნდა იქნეს აღნიშნული: სად იმყოფება საწყობი, ანუ სავაჭრო, ვის ეკუთვნის, რა საგანი აქვს დასამატი აქციზის შესაწერად და რამდენი. ამასთანავე ფინანსთა სახალხო კომისარი აფრთხილებს ყველას, თუ დანიშნულ ვადაზე განცხადება წარდგენილ არ იქნა და 3 ნოემბრის შემდეგ ზემოაღნიშნული საგნები აღმოჩნდა რომელიმე საწყობში ანუ სავაჭროში, აღუნუსხავი და დასამატი აქციზის შეუწერელი, ასეთი საგნები ჩაითვლება განძრახ საქციზო გადასახადისაგან გადამალულად, ჩამოერთმევა პატრონს და დამნაშავე არსებულ კანონის ძალით მიეცემა პასუხისგებაში.

ფინანსთა სახ. კომის. **ბ. ბიბინეიშვილი.**

არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგე **ნ. ლამბარაშვილი.**

ორლაის საზ. კომისარიატი.

დადგენილება

საქ. სოც. საბჭ. რესპ. უმაღლეს სატარიფო საბჭოსი.

იმ წარმოება დაწესებულებებში განაკეთის განსაზღვრისათვის, სადაც დადებულია კოლექტიური ხელშეკრულება, ოქტომბრის თვის მეორე ნახევრის თვის განაკვეთის საფუძველად ქალ. ტფილისში დაწესებულია ბაზრის საშუალო შემდეგი ფასები:

№№ რიგზე.	პროდუქტების დასახელება.	ერთეული	ფასი ერთეულის ადგილობრივ ბონების, ათასებში, ოქტომბრის მე 2-ე ნახევრის,
1	2	3	4
1	პური	1 გ.	10
2	ქართოფილი . . .	1 „	4
3	ლობიო.	1 „	9
4	ბრინჯი	1 „	18
5	კომბოსტო. . . .	1 „	4
6	ხორცი	1 „	30
7	ზეთი.	1 „	50
8	ერბო	1 „	80
9	შაქარი	1 „	30
10	მარილი	1 „	3
11	თევზი	1 „	30
12	ჩაი	1/4	50

უმაღლეს სატარიფო საბჭოს
თავმჯდომარე **ა. მიქაძე.**

მდივანი **ვ. ბოკუჩავა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 10.

ქ. ს. ს. რ. უმაღლეს სატარიფო საგზოსი.

იმ წარმოება დაწესებულებებში განაკვეთის განსაზღვრისათვის, სადაც დადებულია კოლექტიური ხელშეკრულება, ნოემბრის თვის მეორე ნახევრისათვის განაკვეთის საფუძველად ქალ. ტფილისში (პირველ სატარიფო ზოლში) დაწესებულია შემდეგი ბაზრის საშუალო ფასები.

№№ რიგზე.	პროდუქტების დასახელება.	რაოდენობა.	ფასი ერთეულის ადგილობრივ ბონებით, (ათასებში).
1	პური	1 გ.	10
2	ქართოფილი . .	1 „	3,5
3	ლობიო. . . .	1 „	9
4	ბრინჯი. . . .	1 „	18
5	კომბოსტო . .	1 „	3,5
6	ხორცი	1 „	25
7	ზეთი.	1 „	50
8	ერბო	1 „	80
9	შაქარი	1 „	27
10	მარილი.	1 „	5
11	თევზი	1 „	20
12	ჩაი	1/4	40

შენიშვნა: პროვინციისათვის პროდუქტების ღირებულება წესდება თანახმად უმაღლეს სატარიფო საბჭოს დადგენილებისა № 8, ზემო მოყვანილ ფასებთან შეფარდებით და სათანადო საპროცენტო დაკლებით ყოველ ზოლისათვის.

უმაღლეს სატარიფო საბჭოს თავ-
მჯდომარე ა. **მიქაძე.**

მდივანი ვ. **ბოკუჩავა.**

დადგენილება № 11.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. უმაღლეს სატარიფო საბჭოსი.

იმ წარმოება დაწესებულებებში განაკვეთის განსაზღვრისათვის, სადაც დადებულია კოლექტიური ხელშეკრულება, დეკემბრის თვის პირველ ნახევრისათვის, განაკვეთის საფუძველად ქალ. ტფილისში (პირველ სატარიფო ზოლში) დაწესებულია, შემდეგი ბაზრის საშუალო ფასები.

№№ რიგზე	პროდუქტების დასახელება	რაოდენობა	ფასი ერთეულ. ადგილობრივ ბონებით, (ათასებში)
1	პური	1 გ.	10
2	კართოფ.	1 „	3,5
3	ლობიო	1 „	8
4	ბრინჯი	1 „	18
5	კომბოსტო.	1 „	3,5
6	ხორცი	1 „	25
7	ზეთი	1 „	50
3	ერბო.	1 „	80
9	შაკარი	1 „	32
10	მარილი	1 „	5
11	თევზი	1 „	25
12	ჩაი.	1/4	40

შენიშვნა: პროვინციისათვის პროდუქტების ღირებულება წესდება თანახმად უმაღლეს სატარიფო საბჭოს დადგენილებისა № 8, ზემო-მოყვანილ ფასებთან შეფარდებით და სათანადო საპროცენტო დაკლებით ყოველ ზოლისათვის.

უმაღლეს სატარიფო საბჭოს
თავმჯდომარე ა. **მიქაძე.**

მდივანი ვ. **ბოკუჩავა.**

დადგენილება № 12.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. უმაღლეს სატარიფო საბჭოსი.

უმაღლესი სატარიფო საბჭოს ა. წ. დეკემბრის 1-ის დადგენილების № 11 ის შესაცვლელად, უმაღლესი სატარიფო საბჭო ადგენს:

იმ წარმოება დაწესებულებში განაკვეთის განაზღვრისათვის, სადაც დადებულია კოლექტიური ხელშეკრულება, დეკემბრის თვის პირველ ნახევრისათვის, განაკვეთის საფუძვლად ქალ. ტფილის-

ში (პირველ სატარიფო ზოლში) დაწესებულია შემდეგი ბაზრის საშუალო ფასები.

№№ რიგზე	პროდუქტების დასახელება	რაოდენობა	ფასი ერთეულ-ში ადგილობრივ ბონებით, (ანა-სებში)
1	პური	1 გ.	8 — 10.000
2	ქართოფ.	1 „	5.000
3	ლობიო	1 „	7.000
4	კომბოსტო.	1 „	5.000
5	ბრინჯი	1 „	20.000
6	ხორცი	1 „	25 — 30.000
7	ზეთი	1 „	40.000
8	ერბო	1 „	100.000
9	შაქარი	1 „	50.000
10	მარილი	1 „	5.000
11	თევზი.	1 „	25.000
12	ჩაი.	1/4	120.000

შენიშვნა: პროვინციისათვის პროდუქტების ღირებულება წესდება თანახმად უმაღლეს სატარიფო საბჭოს დადგენილებისა № 8, ზემო-მოყვანილ ფასებთან შეფართებით და სათანადო საპროცენტო დაკლებით ყოველ სატარიფო ზოლისათვის.

უმაღლეს სატარიფო საბჭოს
თავმჯდომარე **ა. მიქაძე.**

მდივანი **ვ. ბოკუჩავა.**

1922 წ. დეკემბრის 15-ს

დადგენილება № 26.

შრომის სახალხო კომისარიატისა კოლექტიურ ხელშეკრულებათა რეგისტრაციის შესახებ.

1. კოლექტიური ხელშეკრულების რეგისტრაციისათვის უნდა წარმოდგენილ იქნას შრომის სახალხო კომისარიატში ან მის ადგილობრივ შრომის განყოფილებებში ხელშეკრულების დედანი და ორი ასლი თანდართულ შევსებულ „სარეგისტრაციო ბარათით“, სტატისტიკურ განყოფილების მიერ შემუშავებულ ფორმის მიხედვით.

შენიშვნა: კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც დადებულია ამიერ-კავკასიის მასშტაბით, ასეთივე წესით წარმოდგენილ უნდა იქნას შრომის კომისარიატში.

2. კოლექტიურ ხელშეკრულების რეგისტრაცია უნდა მოხდეს სამი დღის განმავლობაში, დღიდან მისი წარმოდგენისა, ხოლო ძალაში შედის დღიდან დაინტერესებულ მხარეთა მიერ ხელმოწერისა, მიუხედავად იმისა, თუ რომელ დროს იქნება ხელშეკრულება გატარებული რეგისტრაციაში შრომის კომისარიატის ორგანოების მიერ.

3. ხელშეკრულებათა რეგისტრაცია ხდება „კოლექტიურ ხელშეკრულებათა“ წიგნში ჩაწერის წესით. ეს წიგნი შედგენილ უნდა იქნეს შემდეგი წესით: 1) №№ რიგზე, 2) რეგისტრაციაში გატარების დრო, 3) ხელშეკრულების ხელმოწერის დრო, 4) ვისა და ვის შორის დაიდო ხელშეკრულება, 5) ვინ გაატარა ხელშეკრულება რეგისტრაციაში (ოფიციალურ პირის გვარი), 6) დრო, როდესაც მიეცათ ასლები მხარეებს და მათი ხელმოწერა ასლების მიღების შესახებ.

4. კოლექტიურ ხელშეკრულებათა წიგნში გატარების შემდეგ დედანზე უნდა იქნეს სარეგისტრაციო წარწერა შემდეგი შინაარსისა: „გატარებულია რეგისტრაციაში შრომის სახალხო კომისარიატის (ან და შრომის განყოფილების) კოლექტიურ ხელშეკრულებათა წიგნში ამ და ამ ნომრით“ (ხელის მოწერა).

შენიშვნა: სარეგისტრაციო წარწერა უნდა ხელმოწერილი იყოს პასუხისმგებელ თანამშრომლის მიერ, რომელსაც დაკისრებული აქვს ხელშეკრულებათა რეგისტრაცია.

5. ხელშეკრულების დედანი ინახება შრომის კომისარიატში (შრომის განყოფილებაში), მხარეებს კი მიეცემათ ოფიციალურად შემოწმებული ასლები, რომლებზედაც უნდა იყოს სარეგისტრაციო წარწერაც.

6. კოლექტიურ ხელშეკრულებათა დედანი და ასლები ცალ-ცალკე უნდა იქნეს შეკინძული და ზონარის თაიები დალუქული. თუ რომელიმე შრომის განყოფილებას არა აქვს ლუქის ბეჭედი, უნდა დაუსვას უპრალო ბეჭედი და ხელმოწერა ოფიციალური პირისა, რომელიც აწარმოებს რეგისტრაციას.

დედანი ინახება შრომის სახალხო კომისარიატში (შრომის განყოფილებაში) ცალკე პაპკაში, სარეგისტრაციო ნომრების მიხედვით.

კოლექტიური ხელშეკრულების ასლები ეძლევათ მხარეებს, მათი წარმომადგენელთა სარეგისტრაციო წიგნში ხელმოწერის ქვეშ.

შენიშვნა: ხელშეკრულებებს თანდართული სარეგისტრაციო ბარათები ინახება ცალკე პაპკაში და ყოველთვიურად უნდა გადაეცეს სტატისტიკურ განყოფილებას მიმდინარე თვიურ სტატისტიკისათვის.

7. გარდა კოლექტიურ ხელშეკრულებათა სარეგისტრაციო წიგნისა, უნდა შედგენილ იქნას ხელშეკრულებათა საალფავიტო წიგნი, რომელშიაც ყოველი ხელშეკრულება ჩაიწერება ორჯერ, მუშა-მოსამსახურეთა კავშირის სახელწოდებისა და მწარმოებელთა სახელწოდების დაწყებითი ასოების მიხედვით. ამ წიგნში აღნიშნულ უნდა იქნას სარეგისტრაციო ნომერი და რეგისტრაციის დრო.

8. რეგისტრაციაში არ უნდა იქნეს გატარებული ისეთი ხელშეკრულება, რომელიც ჰქმნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშა მოსამსახურეთათვის უფრო მძიმე პირობებს, ვიდრე ეს განსაზღვრულია არსებულ შრომის კანონდებულებით. ამ შემთხვევაში შრომის კომისარიატი (ან შრომის განყოფილება) ორი დღის განმავლობაში ვალდებულია; ა) შეიტანოს მე-4 მუხლის შენიშვნაში აღნიშნულ პირთა მიერ ხელმოწერილი, დასაბუთებული დადგენილება რეგისტრაციის უარყოფის შესახებ, ბ) იმავე ვადაში აცნობოს დადგენილება მხარეებს, ამასთანავე კოლექტიურ ხელშეკრულების დედანი და ერთი ასლი ეგზავნება უკან იმ მხარეს, რომელმაც შემოიტანა ხელშეკრულება, ხოლო მეორე ასლი კი რჩება შრომის კომისარიატს.

9. კოლექტიურ ხელშეკრულების უარყოფის შესახებ დადგენილების გასაჩივრება შეიძლება სამი დღის განძავლობაში უმაღლეს ინსტანციაში, რომლის დადგენილება საბოლოოა.

შენიშვნა: ასეთივე წესით შეიძლები გასაჩივრებულ იქნას რეგისტრაციის დაგვიანება.

10. ეს დადგენილება ვრცელდება აგრეთვე სატარიფო შეთანხმებაზედაც.

შრომის სახალხო კომისარი ა. **იაშვილი.**

საქმეთა მმართველი მ. **ბარნაბიშვილი.**

დადგენილება № 27.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

კომუნისტურ ახალგაზრდათა კავშირის არსებობის 5 წლის შესრულების დღესასწაულის გამო, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატმა **დადგინა.**

1. კომუნისტურ ახალგაზრდათა კავშირის არსებობის 5 წლის შესრულების დღესასწაულის დღეს, ნოემბრის 20-ს, ყველა წარმოება-დაწესებულება ვალდებულია გაანთავისუფლოს მუშაობიდან დღის 1 საათზე ყველა მუშა-მოსამსახურე 20-ს წლამდე (ჩათვლით) ახალგაზრდა კავშირის მიერ მოწყობილ დღესასწაულში და დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად.

2. სახელმწიფო და კერძო დაწესებულებანი (როგორც დიდი, ისე პატარა სახელოსნოები, რესტორანები, კაფეები და სხვ.) რომელნიც არ შეასრულებენ ამ დადგენილებას, პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

შრომის სახალხო კომისარი ა. **იაშვილი,**

საქმეთა მმართველი გ. **ხარაზიშვილი.**

1922 წლის—ნოემბრის 16-ს
ქ. ტფილისი.

დადგენილება № 29.

საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1. საქ. ს. ს. რ. საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით მიღებულ—ომამდე არსებულ საქონლის ფასის გამომხატველ მანეთის კურსი, დეკემბრის პირველ ნახევრისათვის განისაზღვროს 228,000 მანეთით ქართულ ბონებში.

2. იმ წარმოება-დაწესებულებებში, რომელშიც დადებულია კოლექტიური ხელშეკრულებანი და რომელთაც საფუძვლად უდევთ ომამდე არსებული საქონლის ფასის გამომხატველ მანეთით სატარიფო განაკვეთი, მათ ევალებათ მშრომელთ გაუსწორონ ანგარიში ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ კურსის მიხედვით.

3. ესე დადგენილება არ ვრცელდება იმ ხელშეკრულებებზე, რომლებშიც განაკვეთის გამოანგარიშება გათვალისწინებულია აღრიცხულ პროდუქტით.

შრომის სახალხო კომისრის
მოადგილე **ა. მიქაძე.**

საქმეთა მმართველი **გ. ხარაზიშვილი.**

11 დეკემბერი 1922 წ.

განათ. საზ. კომისარიატი.

დადგენილება № 476.

ს. ს. ს. რ. სახ. განათლ. კომისარიატის ყოველ გამოცემების 21 ეკზემპლიარის კომისარიატში წარმოდგენის შესახებ.

თანახმად ს. ს. ს. რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის დეკრეტისა, № 93 „ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა განათლების კომისარიატში წარდგენის შესახებ“ ყველა სახელმწიფო თუ კერძო სტამბის, ლიტოგრაფიის, მეტალოპლასტიკის და ყოფელგვარი სასტამბო წარმოების გამგეს თუ პატრონს ევალებათ აღნიშნულ ნაწარმოების **ოცდა ერთი ცალის წარდგენა უფასოდ** განათლების კომისარიატში, რესპუბლიკის მუზეუმისა, ბიბლიოთეკიბისა და არქივებში შესანახავად.

მიუხედავად ამისა, თითქმის არცერთი ზემოდასახელებული პირები არ ასრულებენ დეკრეტს, რის გამოც ბევრია ტფილისის ბაზარზე გამოსული ბეჭვდითი ნაწარმოები, რომელთ დაწესებული ეგზემპლიარები განათლების კომისარიატში დღემდე არაა წარმოდგენილი.

განსაკუთრებით უგულებულყოფენ დეკრეტს

პროვინციის სათანადო დაწესებულებანი, რომელთაგან, მიუხედავათ მრავალგზის წერილობითი მოხსენებებისა, არავითარი გამოცემა არ მოგვეპოვება.

სახალხო განათლების კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა მმართველობა, აღნიშნავს რა არანორმალობას, წინადადებას აძლევს დეკრეტში ხსენებულ პირთა და დაწესებულებათ რათა მათ დაუყოვნებლივ მოიყვანონ სისრულეში ხსენებული დეკრეტი (№ 93) 1922 წ. თებერვლის 14 და წარმოადგინონ კომისირიატში ტფილისში,—დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა ერთი კვირის, ხოლო პროვინციაში—ორი კვირის განმავლობაში კანონის გამოცემის დღიდან გამოსულ ნაბეჭდ-ნაწარმოებთა ყოველი გამოცემის 21 ცალი და მომავალშიაც გზავნონ აღნიშნული რაოდენობა სისტემატიურად, წინააღმდეგ შემთხვევაში დეკრეტის დამრღვევნი პასუხის გებაში იქნებიან მიცემული

სახ. განათლების კომის. **დ. კანდელაკი.**

სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობის გამგე **ვ. ბერიძე.**

მდივანი **შ. აფხაიძე.**

დადგენილება № 87

ს. ს. ს. რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიტისა კულტურულ განმნათლებელ დაწესებულებათა შესახებ.

თანახმად ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემულ დეკრეტისა ყველა კულტურულ განმნათლებელი დაწესებულებანი არსებობენ განათლების სახალხო კომისარიატის ნებართვით და იმყოფებიან ამ კომისარიატის უშუალო დამოკიდებულებისა და კონტროლის ქვეშ.

ამისდა მიხედვით განათლების სახალხო კომისარიატი ადგენს: კურსები, კლასები, სტუდიები და სხვა ყოველნაირი კულტურულ განმნათლებელი დაწესებულებანი, რომელთაც არ აქვთ სათანადო ნებართვა არსებობისა, უნდა დუყონებლივ დაიხუროს ამ ზოგის განხორციელება მიენდოს განათლების კომისარიატის პროფ. განათლებ ს მთავარ მმართველობის გამგეობას.

განათ. სახ. კომისარი **დ. კანდელაკი.**

საქმეთა მმართვ. გამგე: **ალ. მიქაბერაძე.**

დადგენილება № 88.

განათლების სახალხო კომისარიატისა იმ პირთა შესახებ, რომელთაც უფლება აქვთ სწავლის ფულის გადახდისაგან განთავისუფლებისა.

კომისარიატის მიერ უმაღლეს და საშუალო სასწავლებელში სწავლის ფულის შემოღების შესახებ გამოცემულ დადგენილების მეოთხე მუხლის შესაცვლელად სახალხო განათ. კომისარიატი ადგენს:

1. სწავლის ფულის გადასახადისაგან თავისუფლდებიან:

ა) წითელ-არმიელთა შვილები და თვით წითელი არმიელები.

ბ) დაჭრილ და დასახიჩრებულ მეომართა შვილები.

ე) ფიზიკური შრომის მუშები და მათი შვილები, თუ თვიურის ჯამაგირს რაოდენობა არ აღემატება 40 მან. ოქროთი.

დ) სახელმწიფო სტიპენდიანტები.

ე) ყველა ტიპის და საფეხურის სკოლების მასწავლებელთა შვილები.

ვ) შვილები, ყოფილი მასწავლებლებისა, თუ უმსახურიათ პედაგოგიურ ასპარეზზე არა ნაკლებ 15 წლისა, ამ ჟამად არავითარი სამსახური არა აქვთ და წარმოადგენენ სილარიბის მოწმობას.

ზ) დანარჩენი მოწაფეებიდან სასწავლებლებში შეგირდთა საერთო რიცხვის არა უმეტეს 20 პროც.

2. მიმდინარე სამოსწავლო წლის პირველი ნახევრის სწავლის ფულის შეტანის ვადა გაგრძელდეს 25 ნოემბრამდე.

განათ. სახ. კომისარი: **დ. კანდელაკი.**

პროფ. განათ. მთავარმართველობის გამგე. **ნ. მგელაძე.**

საქმეთა მმართველი: **ა. მიქაბერიძე.**

მდივანი: **ალ. მიქელაძე.**

დადგენილება № 472

ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატისა.

რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში სწავლის ფულის გადახდევინების შესახებ გამოცემულ და „მოამბე“ ს. ა. წ. 21 ოქტომბრის 41 № ში გამოქვეყნებულ დადგენილების შესაბამებლად და განსავითარებლად განათლების სახალხო კომისარიატი ადგენს:

1 რესპუბლიკის სამუსიკო ს სწავლებელებში სწავლის ფულის გადახდისგან გათავისუფლებულ იქმნენ მუსიკოსების და ამა სასწავლებელთა მასწავლებლების შვილები.

2. სამუსიკო სასწავლებლების გამგეობასა და პედაგოგიურ საბჭოს უფლება მიეცეთ განაკუთრებულ შემთხვევაში, მილებული იქ ნა რა მხედველობაში მოწაფეთა ნიჭი, მეცადინეობაში წარმატების ხარისხი და ყოფაქცევა. განათავისუფლოს სწავლის ფულის გადახდისაგან თავისის დადგენილებით, პირველ მუხლში მოხსენებულ პირთა გარდა, სხვა მოსწავლენიც, ხოლო ისე კი ამ სახით

განთავისუფლებულთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს პირველ კონსერვატორიაში მოწაფეთა საერთო რიცხვის 20 პროცენტს, მეორე კონსერვატორიაში—30 პროც. და სამუსიკო სასწავლებელში—10 პროც.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან.

ს. ს. ს. რ. განათლების სახალხო
კომისარი **დ. კანდელაკი.**

საქმეთა მმართ. **ალ. მიქაბერიძე.**

მდივანი **ილ. რუხაძე.**

დადგენილება № 474.

განათლების სახალხო კომისარიატისა.

1. დაევალოს საქართველოს ს. ს. რ. ყველა განათლების განყოფილებებს და ტეხნიკუმების გამგეთ სომხურ სასწავლებლებსა და კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებებში შემოიღონ, სომხეთის ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ამა 1922 წლის 4 მარტის დეკრეტისა და სომხეთის განათლების სახალხო კომისარიატის იმავე წლის 12 მარტის ინსტრუქციის თანახმად, ახალი სომხური მართლწერა (ორთოგრაფია).

2. სომხური ენის ახალი მართლწერა სავალდებულოდ იქმას ცნობილი ოფიციალურ მიწერ მოწერისა, სტამბებისა და ყოველ გვარ ახალ დასაბეჭდ და გამოსაცემ ნაწარმოებისათვის.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან.

საქართ. ს. ს. რ. განათ. სახალხო
კომისარი **დ. კანდელაკი.**

საქმეთა მართველი **ალ. მიქაბერიძე.**

მდივანი **ი. რუხაძე.**

დეკულეგა № 492

სბავშვო თეატრების შესახებ

1. სბავშვო თეატრის მიზანია—მისცეს ბავშვებს ჯნმრთელი და მათი სულიერ მოთხოვნილების მიხედვით დამაკმაყოფილებელი გასართობები და სანახავები და ამ რიგად ხელი შეუწყოს მათ გონებრივ და ზნეობრივ ზრდას და ჩამოაშოროს ქუჩის გამხრწნელ გავლენას.

2. სბავშო თეატრს აწყობს სოციალზრდის მთავარი მმართველობა.

3. სოციალზრდის მთავარი მმართველობა იდეურად ხელმძღვანელობს სბავშვო თეატრს თავისი ლიტერატურულ-სამხატვრო სექციის საშუალებით.

4. სბავშო თეატრში წარმოდგენები დაიდგმება—საოპერო და დრამატიული ქართულ რუსულ და სხვა ენებზე რესპუბლიკის სახელმწიფო თეატრებში.

5. სახელმწიფო თეატრები ვალდებულნი არიან განათლების კომისარიატის განკარგულებით დაუთმონ რიგ რიგად სბავშვო თეატრისათვის შენობა, რეჟისორი, დასის შემადგენლობა და აუცილებელი ინვენტარი.

6. სბავშვო თეატრის რეპერტუარს იმუშავებს სალიტერატურო-სამხატვრო სექცია და ამტკიცებს სოც. აღზრდის მთავარმმართველობა.

7. სახელმწიფო თეატრები სბავშვო თეატრის თითოეულ წარმომადგენლისა ვის იღებენ მინიმუმა თეატრის ხარჯვისას და კიდევ გად რჩენილი თანხა გადაეცემა სოც. აღზრდის მმართველობას სბავშვო თეატრების საქმის გასაუმჯობესებლად.

8. საქმის ტეხნიკურად მიწყობისათვის (მოლაპარაკება, თეატრებში რიგების განაწილება, ფულის ანგარიშის წარმოება) სოციალურ აღზრდის მთავარი მმართველობა გამოჰყობს სპეციალურ ინსტრუქტორს სათეატრო საქმის მცოდნეს, რომელსაც იწვევს სალიტერატურო სამხატვრო სექციის კოლეგია განსაზღვრულ ჯამაგირით და ემორჩილება მასვე. ინსტრუქტორს ამტკიცებს სოციალზრდის მთავარი მმართველობა.

9. სბავშვო ყველა წარმოდგენების ნებართვის გაცემა მინიჭებული აქვს სოც. აღზრდის მთავარმმართველობას.

განათლების კომისარი **დ. კანდელაკი.**

საქმეთა მმართველი **ალ. მიქაბერიძე.**

მდივანი **ი. რუხაძე.**

გრძანება

ს. ს. ს. რ. სახალხო განათ. კომისარიატისა სასწავლებლის ყველა გამგეებს.

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის საბინაო განყოფილების დადგენილება ბინის ნორმის შესახებ ვრცელდება სახელმწიფო დაწესებულებებთან არსებულ ბინებში მცხოვრებ მოსამსახურეებზე.

ამ დადგენილების მიხედვით ოჯახის თვითეულ წევრზედ ნორმა ეუდევია 25 ოთხკ არშინი; გარდა ამისა ს სწავლებლის გამგეს, როგორც პასუხისმგებელ მოსამსახურეს, უნდა მიეცეს ერთი ზედმეტი ოთახი სამეცადინოთ.

გაუწყებთ რა ამას, გთხოვთ დაუყოვნებლივ გვაცნობოთ რამდენი თავისუფალი ოთახი დარჩება თქვენდამი რწმუნებულ სასწავლებელთან არსებულ ბინებში, რათა აღნიშნული ოთახები განათლების კომისარიატმა აიღოს აღრიცხვაზე და საჭიროების და მიხედვით დაუთმოს თავის თანამშრომლებს.

სახალხო განათლების კომისარის
მოადგილე **მ. ორახელაშვილისა**

პროფ. განათლების მთავარ მმართველობის
გამგე **ნ. მგელაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულიარი

ს. ს. ს. რ. სახ. განათ. კომის. ყველა ტეხნიკუმის გამგეებს.

სახალხო განათლების კომისარიატში შემოსულ ცნობებიდან ირკვევა, რომ ზოგიერთ შრომის სკოლებს. მოუხდენიათ გამოცდები შრომის სკოლის კურსის ცოდნის მოწმობაზე სექტემბერში. თანახმად არსებული დებულებისა ამგვარი გამოცდები კი ხდება მხოლოდ მაისში.

გაუწყებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ ამგვარი მოწმობები მიიღოთ ტეხნიკუმში, თუ თავისუფალი ვაკანსია აღმოჩნდება, მოწაფეები მხოლოდ კოლლოკვიუმების ჩაბარების შემდეგ, ის მოწაფეები კი, რომლებსაც ამავე სექტემბერში კლას გამოშვებით ჩაუბარებიათ მოწმობაზე ზემოაღნიშნული გამოცდები, არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნენ მიღებული

პროფესიონალურ განათლების მთავარ მმართველობის გამგე **ნ. მგელაძე.**
მდივანი **ა. მიქელაძე.**

ცირკულიარი

ყველა განათლეაის განყოფილების გამგეებს.

ტეხნიკუმში უკვე ადგილი აქვს ისეთს შემთხვევებს, რომ შრომის სკოლებში სწავლა დამთავრებულნი ადგენენ კურსდამთავრების მოწმობებს ზოგ ზოგ საკნებში არა საკმაოდ დამაკმაყოფილებელ ნიშნებით და თხოულობენ მიღებულ იქნენ ტეხნიკუმში. ამიტომ ს. გ. კომისარიატი გთხოვთ გახცეთ განკარგულება ტეხნიკუმის გამგეებს, რომ მათ მიიღონ ტეხნიკუმებში ასეთი მოწაფეები იმ აუცილებელ პირობით, რომ ორი თვის განმავლობაში ჩაბარონ კოლოკვიუმები იმ საგნებში, რომლებშიც მათ სუსტი ნიშნები აქვთ.

პროფ. განათ. მთავარ მმართველ.
გამგე ნ. მგელაძე.
მდივანი **ა. მიქელაძე.**

შეცდომის გასწორება.

„მოამბე-ს" №№ 42—43-ში მოთავსებულ ინსტრუქციაში, „საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მილიციისა" შეცდომით გამოტოვებულია წარწერა: **„ვამ. ტკიცებ.—ტალახაძე, 29 ნოემბ. 1922 წ.".**

განცხადებანი.

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი მიღებული ცენტრალური „ზაგს"-ის კანცელარიიდან 1922 წ. № 423 **გიორგი ასათურის ძე არუთინოვის** სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

№ 150 1—1

ქალ. თბილისის მე-3 ნაწილის აქციზის ინსპექტორი ამით აცხადებს, რომ ღვინით მოვაჭრეებს **დავით და ივანე ცისკარაშვილებს** დაუკარგიათ ღვინის გადასატანი მოწმომები: ახალშ. ლიუქსენბურგიდან № 8501 –5 იანვრ. 1922 წ.—180 ვედ. ღვინისა და № 2106 21 მარტიდან 1922 წ.—60 ვედ.—მიცემული ქ. თბილისში, იასონ სულთანიშვილის სარდაფიდან, რომელნიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად

№ 151 1—1

ქ. თბილისის მე-3 ნაწილის აქციზის ინსპექტორი ამით აცხადებს, რომ ღვინით მოვაჭრეებს: **არშაკა და დავით ონიკოვებს** დაუკარგავთ ღვინის გადასატანი მოწმობა № 3198—28 თებერვლიდან 1922 წ. 270 ვედ. ღვინისა, მიცემული კახეთიდან, რომელიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად.

№ 152 1—1

ქ. თბილისის მე-3 ნაწილის აქციზის ინსპექტორი ამით აცხადებს, რომ ღვინით მოვაჭრეს **ალექსანდრე არაქელოვს** დაუკარგია ღვინის გადასატანი მოწმობა № 4321—23 მაისიდან 1922 წ.—120 ვედროსი, მიცემული სოფ. გურჯაანიდან აქციზის მოხელეს უკლებაშვილის მიერ, რომელიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად.

№ 153 1—1

ნ. დ. ს. ც. ტფილისი. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფკომ. მე-3 სტამბა—ტირაჟი 2000